ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**1**

იანვარი

F-28/10

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

თბილისი—1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 19 იანვრის ბრძანება № 47

## ქ. ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და საწარმოო სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქ. ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და საწარმოო სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგებს აღვნიშნავ, რომ ამ სკოლების ერთი ნაწილის მასწავლებელთა უმრავლესობა საფუძვლიანად ემზადება, იყენებს თვალსაჩინოებას, მაღალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს და მოსწავლეებიც პროგრამული მასალის კარგ ცოდნას ამჟღავნებენ. ბეჯითი მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევიან დაწყებითი კლასის მასწავლებლები: ე. ნიკოლავა, ბ. რამიშვილი (ქ. ქუთაისის მე-3 საშ. სკოლა), თ. თავხელიძე (მაიაკოვსკის რაიონის ფერსათის რვაწლიანი სკოლა) დედაენაში; ლ. ძაგნიძე (ქ. ქუთაისის მე-2 საშ. სკოლა) რუსულ ენაში; რ. ალავიძე (ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა), ვ. ხაზარაძე (ქ. ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა) არითმეტიკაში; ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები გ. კობახიძე, ჯ. საკანდელიძე, გ. ჩხეიძე, ლ. ბერაძე, ლ. შარაბიძე, ეკ. ძოწენიძე (ქ. ქუთაისის მაიაკოვსკის სახ. 1-ლი საშუალო სკოლა), ო. ჩიტორელიძე, ს. ერისთავი, თ. ჯანელიძე, მ. თვალაშვილი, წ. გალდავაძე ნ. ჯავახაძე (ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა), ქ. გიორგაძე, ბ. რამიშვილი, მ. კიკნაძე (ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა), ა. ლომაძე, ი. მაჭავარიანი, მ. შანიძე (ქ. ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლა), ნ. ბეჭვაია (ქ. ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ფ. რიჟანაშვილი (ქ. ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა), ს. შემბელი და მ. გედენიძე (ქ. ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლა), მ. ბუზიაშვილი (ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა), ნ. ჩიხლაძე, ლ. დავიდოვა და კ. კაპლუნი (ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლა); მათემატიკის მასწავლებლები: გ. კაკაბაძე, ი. ჭირაქაძე (ქუთაისის 1-ლი

საშუალო სკოლა), ე. ხუციბერიძე (ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა), დ. კოხრეიძე, ქ. აბესაძე, ბ. გუგუშვილი (ქუთაისის 21-ე საშ. სკოლა), მ. ბარბაქაძე, დ. ყურულაშვილი; მ. ნიკოლეიშვილი (ქუთაისის მე-3 საშ. სკოლა), მ. ლომინაძე (ქ. ქუთაისის მე-18 საშ. სკოლა), ტ. გრძელიძე (მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშ. სკოლა), თ. რევიშვილი (მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის საშ. სკოლა); ისტორიის მასწავლებლები: ლ. სიჭინავა, თ. შათირაშვილი (ქ. ქუთაისის 1-ლი საშ. სკოლა), ნ. რობაქიძე (ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა), ბ. გვეტაძე (ქ. ქუთაისის მე-3 საშ. სკოლა), ი. წულეისკირი (ქ. ქუთაისის მე-9 საშ. სკოლა), დ. ირემაძე (ქ. ქუთაისის მე-16 საშ. სკოლა) ქ. ნადირაძე (ქ. ქუთისის 21-ე საშ. სკოლა), ი. ნებიერიძე (მაიაკოვსკის რაიონის ობჩის საშ. სკოლა); გეოგრაფიის მასწავლებლები: ა. ჭულუხაძე (ქ. ქუთაისის 21-ე საშ. სკოლა), ლ. ხურციძე (ქ. ქუთაისის მე-16 საშ. სკოლა), ზ. ადამიძე (ქ. ქუთაისის მე-9 საშ. სკოლა); ფიზიკის მასწავლებლები: ლ. ჯავახაძე (ქ. ქუთაისის 1-ლი საშ. სკოლა), ი. ხაზარაძე და თ. ვახტანგაძე (ქ. ქუთაისის მე-2 საშ. სკოლა); ქიმიის მასწავლებლები: ე. ჩარკვიანი (ქ. ქუთაისის მე-3 საშ. სკოლა), თ. ავალიანი (ქ. ქუთაისის მე-9 საშ. სკოლა), დ. ფაიქიძე (მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშ. სკოლა); ბიოლოგიის მასწავლებლები: ე. სვანიძე (ქ. ქუთაისის მე-2 საშ. სკოლა), ო. კვატაშიძე (ქ. ქუთაისის მე-3 საშ. სკოლა), თ. ლოსაბერიძე (ქ. ქუთაისის მე-16 საშ. სკოლა), თ. ხონელიძე (ქ. ქუთაისის 21-ე საშ. სკოლა), ვ. კილაძე (მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის საშ. სკოლა), ე. გიორგაძე და ე. ბაღდავაძე (მაიაკოვსკის რაიონის ფერსათის რვაწლიანი სკოლა); გერმანული ენის მასწავლებელი მ. ბურჯანაძე (ქ. ქუთაისის 1-ლი საშ. სკოლა); ინგლისური ენის მასწავლებლები: ლ. მარგველაშვილი, ე. ბალანჩივაძე (ქ. ქუთაისის მე-3 საშ. სკოლა), რ. პუსტილნიკი, თ. იაკობაშვილი (ქ. ქუთაისის მე-9 საშ. სკოლა); მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის მასწავლებლები რ. კიკოლიშვილი (ქუთაისის მე-3 საშ. და 25-ე საშ. სკოლები), ა. ტოფაძე (ქ. ქუთაისის 21-ე საშ. სკოლა); შრომის მასწავლებლები: შ. აბაშიძე (ქუთაისის 1-ლი საშ. სკოლა), ვ. ლამბაშიძე (ქ. ქუთაისის მე-3 საშ. სკოლა).

სასწავლო-ნივთიერი ბაზის მხრივ განსაკუთრებით კარგი პირობებია შექმნილი ქ. ქუთაისის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი ჯ. საკანდელიძე). აქ ყველა სასწავლო საგანში მოწყობილი აქვთ კაბინეტი ან კლას-კაბინეტი, განსაკუთრებით გამოირჩევა ხელგარჯილობის, ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორიისა და გერმანული ენის კლას-კაბინეტი. გერმანული ენის კლას-კაბინეტში (მასწ.

მ. ბურჯანაძე) აქვთ ენის სწავლებისათვის საჭირო ტაბულები, ჩაწერილი აქვთ ფირფიტებზე ტექსტები, ფონეტიკურად ძნელად გამოსათქმელი სიტყვებით და მაგნიტოფონზე მოსწავლეთა დიალოგები, აქვე აქვთ კლასგარეშე საბავშვო საკითხავი ლიტერატურა, მოწყობილია სტენდი გერმანულ ენაზე ტექნიკური ტერმინოლოგიის დაუფლებისათვის და სხვ.

შრომითი და პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად მიმდინარე სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში ქ. ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონის სკოლების მეტ ნაწილში ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა.

კარგადაა მოწყობილი სახელოსნოები ქ. ქუთაისის 1 და მე-3 საშ. სკოლებში: საკმაო რაოდენობით აქვთ სამუშაო იარაღები, სახელოსნოში დაცულია უსაფრთხოების ტექნიკა და ჰიგიენური პირობები, მოწყობილია ნაკეთობათა გამოფენა, აქვთ ფოტო-სტენდი, სადაც ასახულია მოსწავლეთა მუშაობის პროცესები.

ასევე კარგად არის მოწყობილი მაიაკოვსკის რაიონის სოფ. წითელხევის საშუალო სკოლის სადურგლო სახელოსნო.

მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის ჩასატარებლად ყველა პირობა არის შექმნილი ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, სადაც საწარმოო სწავლებას გადიან ქ. ქუთაისის 1-ლი, მე-7, მე-9, მე-14, 25-ე, 29-ე და 30-ე საშუალო სკოლების მოსწავლე ვაჟები. კარგად არის აგრეთვე მოწყობილი ქ. ქუთაისის მცირე გაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის სასწავლო-საწარმოო ბაზა, სადაც საწარმოო სწავლებას გადიან მე-5, მე-11, მე-12, მე-15, მე-16 და 22-ე საშუალო სკოლების მოსწავლე ვაჟები.

ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლაში უკვე ტრადიციადაა ქცეული ტექნიკური კონფერენციების ჩატარება. სკოლა ყოველწლიურად აწყობს ექსკურსიებს რესპუბლიკის სხვადასხვა ქარხნებში, კომბინატებსა და ფაბრიკებში; მოსწავლეები და მასწავლებლები ქარხანაში ეცნობიან ტექნიკურ დანადგარებს, მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს; ეცნობიან ქარხნის ისტორიას, შემდეგ კი მართავენ კონფერენციას, სადაც ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები, ოსტატები, სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები გამოდიან მოხსენებებით. ამასთან ერთად სკოლა აწყობს შეხვედრებს სკოლის იმ კურსდამთავრებულებთან, რომლებიც სხვადასხვა წარმოებებში მუშაობენ. ამ შეხვედრების შედეგების გაცნობა ნათელ სურათს იძლევა იმის შესახებ, თუ რაოდენ დაინტერესებას იჩენენ მოსწავლეები ტექნიკის დაუფლებისადმი.

დიდი რაოდენობით აქვთ თვითნაკეთი ხელსაწყოები ფიზიკა-ში ქუთაისის 1-ლ და მე-2 საშუალო სკოლებს. მე-2 საშუალო სკოლის მუზეუმში ყოველწლიურად ეწყობა თვითნაკეთ ხელსაწყოთა გამოფენა; დასახელებული სკოლის მოსწავლეები დაჯილდოებულნი არიან სკოლების მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონკურსში „ნორჩი ტექნიკოსები სამშობლოს“ მონაწილეობისათვის.

ნაყოფიერად მუშაობენ საგნობრივი წრეები ქ. ქუთაისის 1-ლ, მე-2, მე-3, მე-9, მე-18 და 21-ე საშუალო სკოლებში. აქ შექმნილია ორ საფეხურიანი საგნობრივი წრეები: V—VIII კლასებისათვის ცალკე და უფროსი კლასებისათვის ცალკე. საგნობრივი წრეების მუშაობას საფუძვლად უდევს ბავშვთა შემოქმედებითი უნარის განვითარება.

საყურადღებოა ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის ფიზიკა-ტექნიკის საგნობრივი წრის მუშაობა. წრეში გაერთიანებული მოსწავლეები დაყოფილი არიან „ნორჩ ფოტომოყვარულთა“, „რადიომოყვარულთა“ და „ნორჩ ელექტროტექნიკოსთა“ სექციებად. ნაყოფიერია წრეში გაერთიანებულ მოსწავლეთა მუშაობა: ნორჩ-ფოტომოყვარულთა წრის წევრების მიერ მზადდება სკოლის ცხოვრების ამსახველი ფოტოალბომი. ნორჩ რადიომოყვარულთა მიერ დამზადებულია უმარტივესი დეტექტორული და ერთმილაკიანი რადიო მიმღებები და სხვ. წრის სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია და ეწყობა კიდეც სასწავლო ხასიათის ექსკურსიები ქალაქის დიდ წარმოებებში.

კარგად ანხორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლებაზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს ქუთაისის 1-ლი, მე-3, მე-9, მე-18, 21-ე და მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშუალო სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები. მათ მიერ შედგენილი ანალიზი ნათელ წარმოდგენას იძლევა მოსმენილი გაკვეთილის შესახებ: გაანალიზებულია მოსწავლეთა წარმატებისა და წარუმატებლობის გამომწვევი მიზეზები გავლილი მასალის გამეორების მდგომარეობა, სწავლების კავშირი საწარმოო საკითხებთან; გამახვილებულია ყურადღება წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობასა და აზროვნების განვითარებაზე.

დასახელებული სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე აქტუალური ხასიათის საკითხებია განხილული, მიღებული ღონისძიებანი კი კონკრეტულია. საბჭოს სხდომებზე სისტემატურად იხილება საკითხი მიღებულ ღონისძიებათა შესრულების შესახებ.

კარგად მუშაობენ ქუთაისის პირველ საშუალო სკოლაში — ისტორიის (ხელ-ლი. ლ. სიჭინავა), მეორე საშუალო სკოლაში — გეო-

გრაფიის (ხელ-ლი თ. შალამბერიძე), მესამე საშუალო სკოლაში ინგლისური ენის (ხელ-ლი ლ. მარგველაშვილი) ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელ-ლი დ. ქომეთიანი), მე-9 საშუალო სკოლაში II კლასის მასწავლებელთა (ხელ-ლი თ. პენკინა), რუსული ენისა და ლიტერატურისა (ხელ-ლი კ. ზ. კაპლუნი) და სხვა მეთოდგაერთიანებანი. მათი სამუშაო გეგმები გულდასმითაა შედგენილი და კარგად მოფიქრებული საკითხებისაგან შედგება. გეგმებს აქვთ განყოფილებები: 1. მეცნიერულ-თეორიული ცოდნის დონის ამაღლება, 2. ადგილობრივი წარმოების საფუძვლების გაცნობა 3. პედაგოგიური თეორიისა და 4. სწავლებისა და აღზრდის პროგრესული მეთოდების დაუფლება. თვითეულ განყოფილებაში ორი-სამი შესაფერისი საკითხია შეტანილი შესასრულებლად. მეთოდგაერთიანებათა მუშაობის აღრიცხვა ჯეროვან ნიადაგზეა დაყენებული.

კლასის ხელმძღვანელთა უმრავლესობა მუშაობას წარმართავს მეოთხედური სამუშაო გეგმით, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი, ამასთან სკოლებს აქვს დირექტორების მიერ დამტკიცებული საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ყოველკვირეული გეგმები. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია კლასის ხელმძღვანელების კ. ახვლედიანის, თ. ჩიხლაძის, ლ. ჯავახაძის, გ. ჩხეიძის (ქ. ქუთაისის 1 საშუალო სკოლა), მ. დვალის, ლ. მარგველაშვილის (ქ. ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა), თ. პენკინას, ლ. ფაჩუაშვილის, მ. დავიდოვას, ვ. ბალაბაევას, (ქ. ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლა), ვ. იობაძის, ნ. ლომინაძის, თ. გუნცაძის, თ. ბოჭორიშვილის, ვ. სარახატუროვას, ჟ. რუხაძის (ქ. ქუთაისის მე-18 საშ. სკოლა) კარგი მუშაობა.

ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებამ დროულად შეისწავლა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობა და დასახა სათანადო ღონისძიებანი. სკოლის დირექციისა და აღმზრდელ მასწავლებელთა ერთობლივი მუშაობის შედეგად კარგად არის დაყენებული გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობა ქ. ქუთაისის მე-2 და 21-ე საშუალო სკოლებში.

მნიშვნელოვან საორგანიზაციო და მეთოდურ ღონისძიებებს ატარებს ქუთაისის ქალაქის განათლების განყოფილება (გამგე ი. გენძეხაძე) და პედაგოგიური კაბინეტი (გამგე ი. თოფჩიაშვილი). მიმდინარე სასწავლო წელს ქალაქის სკოლებში ორჯერ იქნა შესწავლილი საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობა და სწავლებაში ჩაება სკოლიდან გასულ მოსწავლეთა უმრავლესობა. განათლების საბჭოს სხდომაზე მიღებული დადგენილებები ფორმდება ბრძანებით და ეგზავნება სკოლებს სახელ-

მძლვანელოდ. განათლების სამინისტროს ბრძანებები ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ დაყვანილია სკოლებამდე. გარდა ამისა, მრავალი საკითხი განხილულია პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და საქალაქო საბჭოს სხდომებზე.

ქალაქის პედაგოგიურ კაბინეტთან მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადებისა და სწავლების დონის ამაღლების მიზნით ჩამოყალიბებულია რვა სხვადასხვა სახის საქალაქო მეთოდური გაერთიანება. კაბინეტი ადგილზე მისვლით დახმარებას უწევს სკოლებს, ამასთან ერთად აწყობს ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს და სემინარულ მუშაობას. მიმდინარე სასწავლო წელს მოეწყო საბავშვო ბაღის მუსიკის, ასევე დაწყებითი სკოლების ხელგარჯილობის, მუსიკის და ფიზკულტურის მასწავლებელთა სემინარები.

სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ვ. გიორგობიანი) გარკვეული მუშაობა აქვს გაწეული სკოლებისადმი კონტროლისა და ხელმძღვანელობის საქმეში. ინსპექტორებისა და აქტივის დახმარებით სისტემატურად მოწმდება სკოლებში ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა. განათლების განყოფილებასთან არსებული სახალხო განათლების საბჭო მუშაობს წინასწარ შედგენილი გეგმით; იგი რეგულარულად იხილავს თავის სხდომებზე საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების, საწარმოო სწავლების დაყენების, სკოლების ნივთიერი ბაზის განმტკიცების და სხვა საკითხებს. რიგი საკითხების განხილვა ხდება აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომისა და პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომებზე. მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა აგრეთვე მეთოდურ დარგში მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილებასთან არსებული პედაგოგიური კაბინეტი (გამგე დ. ხამაშურიძე).

მიუხედავად ზემოაღნიშნული მიღწევებისა ქ. ქუთაისის და მაიაკოვსკის რაიონის სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის VII კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწ. ნ. ხაფავა) მოსწავლეთა ერთი ნაწილი გავლილი მასალის სუსტ ცოდნას ამჟღავნებს. მასწავლებელმა ლიტერატურული კითხვის გაკვეთილზე 30 წუთი მოანდომა წინა მასალის „სწავლა მოსწავლეთა“ შინაარსის გამოკითხვას და ნაჩქარევად გადასცა კლასს გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიული ცნობები, არ მოახდინა ახალი მასალის განმტკიცება. არასასურვე-

ლი შედეგები გამოავლინა ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის XI კლასში ჩატარებულმა საკონტროლო წერამ თემაზე: „გლეხთა ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის მიხედვით“. 23 მოსწავლიდან ნიშანი „2“ [illegible] მოსწავლემ და „1“ სამმა მოსწავლემ (მასწ. დ. შვანგირაძე).

მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეთა ერთ ნაწილს უძნელდება ლიტერატურის თეორიის საკითხებში დამოუკიდებლად გარკვევა (მასწ. ნ. შარიქაძე).

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დიდი ნაწილი პრაქტიკულად სუსტად ფლობს რუსულ ენას, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ტექსტებზე, ახალი მასალის ახსნის დროს არ იყენებს მოსწავლეთა მიერ ქართულ ენაში შესწავლილ შესაბამის მასალებს, გაკვეთილებზე ახალი მასალის ახსნასა და მის განმტკიცებას არ უთმობს სათანადო დროს, არ აქცევს ყურადღებას მოსწავლეთა მიერ ახალი მასალის შეგნებულად შესწავლას, არ იყენებს თვალსაჩინოებას, სისტემატურად არ ასწორებს საკლასო-საშინაო რვეულებს. ამის შედეგად მოსწავლეები რუსული ენის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ, დამახინჯებულად კითხულობენ, არასწორად გამოთქვამენ სიტყვებს, თავის ადგილას არ ხმარობენ მახვილებს, წერით ნამუშევრებში უშვებენ უამრავ შეცდომებს და სხვ. ასე, მაგ. მაიაკოვსკის რაიონის ობჩის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი შ. ვ. სამხარაძე არ იცავს პროგრამით გათვალისწინებული მასალების თანმიმდევრობას. XI კლასში მან თემა „Выражение подлежащего“ ახსნა სამჯერ სხვადასხვა დროს: 18 სექტემბერს, 30 ოქტომბერს და 20 ნოემბერს, ხოლო თემა: „Простое глагольное сказуемое“ მთლიანად გამოტოვა. ვარციხის საშუალო სკოლის მასწავლებელს ა. გ. ფახურიძეს და წითელხევის საშუალო სკოლის მასწავლებელს დ. ო. კოტორეიშვილს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში უამრავი შეცდომები აქვთ შეუმჩნეველი და წერითი ნამუშევრები დადებითად აქვთ შეფასებული.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება. მასწავლებელთა ერთი ნაწილი ვერ ახერხებს მოსწავლეებს მისცეს პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევები და ვერ ქმნის მტკიცე საძირკველს პოლიტექნიკური დისციპლინების სწავლებისათვის. ქ. ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის VII კლასში ალგებრაში 31 მოსწავლის წერითი ნამუშევრიდან მასწ. ი. ეზიკაშვილმა მხოლოდ 11 მოსწავლის ნამუშევარი შეაფასა უარყოფითი ნიშნით. ამავე ნამუშევრების განათლების სამინისტროში დეტალურად გადასინჯვით ნიშანი „4“ მიიღო 26-მა მოსწავლემ ე. ი.

84%-მა. მე-16 საშუალო სკოლის VIII კლასში ალგებრაში ჩატარდა საკონტროლო წერა. 27 მოსწავლიდან მასწავლებელმა ო. რევიშვილმა ნიშანი „2“ დაუწერა 14 მოსწავლეს. ფაქტიურად კი უარყოფით შეფასებას იმსახურებდა 20 მოსწავლე. ამავე სკოლის X კლასში (მასწ. ბ. ბასილაძე) გეომეტრიაში ამოცანა გამოანგარიშებაზე ფაქტიურად ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა. ამასთან ერთად, ზოგიერთ მოსწავლეს დამოუკიდებლად არ შეუსრულებია სამუშაო, მოსწავლეთა ნაწილმა უხეში შეცდომები დაუშვა, მიუხედავად ამისა, მასწავლებელმა ასეთი მოსწავლეების ნამუშევრებიც „3“-ზე შეაფასა და საერთოდ 23 მოსწავლიდან 13 მოსწავლეს მიეცა დადებითი, ხოლო 10 მოსწავლეს უარყოფითი შეფასება. მოსწავლეთა ნამუშევრებს არაობიექტურად აფასებს აგრეთვე ქუთაისის პირველი სკოლის მასწავლებელი თ. ჩიხლაძე. მაგ. X კლასში მოსწავლე რ. პ-ს ალგებრის ნამუშევარში დაშვებულია არსებითი ხასიათის შეცდომა, ნამუშევარი შეფასებულია „4“-ზე, ხოლო ამავე კლასის მოსწავლეების ა. დ-ს, ნ. ჩ-ს და დ. ჯ-ს ნამუშევრები გაცილებით უკეთესია და შეფასებულია „3“-ზე. ქ. ქუთაისის მე-16 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ო. რევიშვილი) არ იციან არასრული დაყვანილი სახის კვადრატული განტოლების ამოხსნა გრაფიკულად; 21-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ქ. აბესაძე) არ იციან თანამამრავლებად დაშლა და მოქმედებანი სამ და ოთხნიშნა რიცხვებზე. დაბალ მომზადებას ამჟღავნებენ გეომეტრიაში მე-16 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები (მასწ. ბ. ბასილაძე). მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი მოსწავლეთა მომზადების მხრივ მათემატიკაში მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშუალო სკოლის XI კლასში (მასწ. ნ. ენდელაძე), ობჩის პირველი საშუალო სკოლის VI კლასში (მასწ. ვ. გრძელიძე), ვარციხის საშუალო სკოლის VII კლასში (მასწ. ს. ჯიხვაძე) და ფერსათის რვაწლიანი სკოლის VIII კლასში (მასწ. ნ. ტყემალაძე). დასახელებული სკოლების მოსწავლეებს არ ძალუძთ დამოუკიდებლად შეასრულონ მარტივი მათემატიკური გარდაქმნები და გამოანგარიშებანი.

არასათანადო დონეზე დგას ისტორიის სწავლება ქ. ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის მე-$7^1$ კლასში (მასწავლებელი ა. ჩიჩეროვა). მოსწავლეებს უძნელდებათ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების ცვალებადობის მიზეზებისა და მათი პროგრესულობის ახსნა. მე-18 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლები ქ. ნუცუბიძე (მე-9 კლასი), დ. ცხვირაშვილი (მე-6 კლასი) არ მიაქცევენ მოსწავლეთა ყურადღებას გავლილი მასალის გამეორების საკითხე-

ბზე, მოსწავლეებს უსვამენ არა საკვანძო, არამედ წვრილმან კითხვებს. ქ. ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი თ. სვანიძე ($\text{VI}^1$ კლასი) დიდ დროს ანდომებს საშინაო დავალებების გამოკითხვას, ხოლო ახალი მასალის ასახსნელად ძალზე მცირე დროს იტოვებს, რის გამო მას აღარ აქვს საშუალება ახლად ახსნილი მასალა დაუკავშიროს თანადროულობას და გამოიყენოს იგი მოსწავლეთა იდეური და პოლიტიკური აღზრდისათვის. ასევე არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნის დონე ისტორიაში მაიაკოვსკის რაიონის ობჩის 1-ლი საშუალო სკოლის VI—VII კლასებში (მასწავლებელი ი. მაჭავარიანი).

ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ფიზიკის სწავლება ზოგიერთ სკოლაში. ასე, მაგალითად, მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ჟ. ჯანელიძე) არ იციან თანაფარდობა ფართობისა და მოცულობის ერთეულებს შორის, გაზეპირებული აქვთ კუთრი წონის განმარტება და ვერ ხსნიან უმარტივესი სახის ამოცანებს დასახელებულ საკითხებზე, ვერ ახერხებენ სხეულის აწონას ზამბარიანი სასწორით და სხეულთა მოცულობის გაზომვას მენზურის გამოყენებით. ამავე რაიონის ვარციხის საშუალო სკოლის VI კლასში (მასწავლებელი ს. ჯიხვაძე) ფიზიკაში ხუთოსანმა მოსწავლეებმა არ იციან საზომ ხელსაწყოზე დანაყოფის ფასის გაანგარიშება. მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები ანალიზს ვერ უკეთებენ მათემატიკური ქანქარის რხევის კანონების გამომსახველ ფორმულას, ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეთა ერთ-ნაწილს არ შეუძლია ტომსონის ფორმულიდან ინდუქტივობისა და ტევადობის განსაზღვრა. ამ სკოლის VII—VIII კლ. მოსწავლეებს (მასწ. მ. მეძმარიაშვილი) გაზეპირებული აქვთ მხოლოდ წესები და ფორმულები, მოვლენების ფიზიკურ არსში კი ვერ ერკვევიან.

დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე ქიმიაში მაიაკოვსკის რაიონის ობჩის პირველი საშუალო სკოლის X, XI კლასებში (მასწავლებელი შ. ბურჯანაძე). მოსწავლეებს გაზეპირებული აქვთ ცალკეული დებულებანი და არ შესწევთ უნარი ახსნან მათი არსი. ასევე არადამაკმაყოფილებელია ვარციხის საშუალო სკოლის X, XI კლასების მოსწავლეთა ცოდნა ამ საგანში (შემცვლელი მასწავლებლები ვ. კილაძე და ზ. არშილავა), მოსწავლეები იზეპირებენ მასალას და ცალკეული ქიმიური მოვლენების სიღრმეს ვერ სწვდებიან. მაგ. X კლასში მოსწავლეებმა არ იციან როგორ ხდება სპილენძის აღდგენა ნახშირისა და სპილენძის ჟანგის ნარევის გახურებისას.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ბიოლოგია ქ. ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლის V—VIII კლასებში (მასწავლებელი ნ. ო[illegible]ვიშვილი). VIII კლასში ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიის სწავლებისას არ ხდება ცალკეული ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების ერთიანობაში განხილვა, არ იხილავენ შესწავლილ მასალასთან ლოგიკურ კავშირში პირადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, მაგ. სისხლის მიმოქცევის, გულის მუშაობისა და აგებულების შესწავლისას არ იყო გამახვილებული ყურადღება გულის წვრთნისა და მოვლის შესახებ.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შრომითი პოლიტექნიკური სწავლება ქ. ქუთაისის მე-2, მე 16, მაიაკოვსკის რაიონის სოფ. წითელხევის საშ. სკოლების ზოგიერთ კლასებში, მასწავლებლების ი. გაბუნიას (ქუთაისის მე-2 საშ. სკოლა), ბ. ბესილიძის (ქუთაისის მე-16 საშ. სკოლა) და დ. ახალაძის (მაიაკოვსკის რაიონის სოფ. წითელხევი) მიერ ჩატარებული გაკვეთილები მოკლებულია სიღრმეს. მოსწავლეთა შრომა ვიწრო ხელოსნურ ხასიათს ატარებს.

არ დგას სათანადო სიმაღლეზე მანქანათმცოდნეობის სწავლება ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასში (მასწავლებელი ბ. ხურციძე). ამ კლასის მოსწავლე ვაჟები საპროგრამო მასალის ძალზე სუსტ ცოდნას ავლენენ. მათ არ შეუძლიათ განმარტონ მანქანათა ნაწილები, მასალათა მექანიკური თვისებები, მანქანათა ნაწილების შეერთების სახეები და სხვ. მასწავლებელი ბ. ხურციძე თვითონ კარგად ფლობს საგანს, მაგრამ სწავლების მეთოდიკის სრულ უცოდინარობას ამჟღავნებს, სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის და ნაკლებ მოთხოვნილებებს უყენებს მოსწავლეებს. იგივე ითქმის ქუთაისის 29-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ვაჟებთან სპეციალობის თეორიის მასწავლებლის ჩიხლაძის მიმართაც.

ვარციხის საშ. სკოლაში (მასწ. ს. კვირიკაშვილი) მოსწავლეები სუსტად ერკვევიან ისეთ ელემენტარულ საკითხებში, როგორიცაა — „მცენარის აგებულება“, „საკვები ნივთიერებები“, „მცენარის ბიოლოგიური თავისებურება“ და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს სასწავლო პროგრამები, მასწავლებელი ს. კვირიკაშვილი არ იცნობს მათ.

ზოგადტექნიკური და სპეციალობის თეორიის მასწავლებელთა ნაწილი სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას, რის გამო მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილების დონე დაბალია, ასეთებია ქუთაისის მე-3, მე-16 და 21-ე

საშუალო სკოლების მოსწავლე გოგონებთან კერვის ტექნოლოგიის მასწავლებელი ლ. სილაგავა, ქუთაისის მე-2, მე-13, მე-15 საშუალო სკოლების მოსწავლე ვაჟებთან მერქნის დამუშავების ტექნოლოგიის მასწავლებელი ყანჩაველი.

ბიბლიოთეკა

ზოგიერთ სკოლაში არ არის მოწესრიგებული მწარმოებლური შრომის პროცესში მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქციის აღრიცხვისა და შრომის ანაზღაურების საქმე. ასე, მაგალითად, ქუთაისის საავეჯო ფაბრიკაზე მიმაგრებული მე-2, მე-13 და მე-15 საშუალო სკოლების X კლასების მოსწავლე ვაჟების მიერ დღემდე შესრულებულ ნამუშევართა აღრიცხვის საქმე მოუგვარებელია.

მოუწყობელი და დაუმუშავებელია სასწავლო საცდელი ნაკვეთები მაიაკოვსკის რაიონის ობჩის 1-ლ და ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლებთან. ობჩის 1-ლი საშუალო სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგეს კ. არშილავას სკოლის ხელმძღვანელობის მიერ საყვედურიც კი აქვს გამოცხადებული ნაკვეთზე მუშაობის ჩაშლისათვის, მაგრამ მდგომარეობა მაინც არაა გამოსწორებული, ნაკვეთი არ არის დაგეგმილი, არ წარმოებს ცდა-დაკვირვებანი და სხვ. მოუვლელია ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ბიოლოგიის სამი მასწავლებელია (ე. სვანიძე, გ. ლანჩავა, ჩიტორელიძე).

სათანადო ყურადღება არ ექცევა სასწავლო-ტექნიკური ბაზების განმტკიცებას. ქ. ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონში შესწავლილ 10 საშუალო და 1-რვაწლიან სკოლაში ფიზიკაში სასკოლო ექსპერიმენტის დაყენების სრული შესაძლებლობა მხოლოდ ქ. ქუთაისის 1-ლ და მე-2 საშუალო სკოლებს აქვთ. ქ. ქუთაისის მე-16 და 21-ე, მაიაკოვსკის რაიონის ობჩის 1-ლი, წითელხევის საშუალო სკოლების მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასებში არ არის პირობები ლაბორატორიული მუშაობა ჩატარდეს თუნდაც ფრონტალური წესით. ვარციხის საშუალო და ფერსათის რვაწლიან (მაიაკოვსკის რაიონი) სკოლებში ფიზიკის კაბინეტებში არსებული ხელსაწყო-იარაღები უზრუნველყოფენ მხოლოდ ზოგიერთი სადემონსტრაციო ცდის ჩატარებას. მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის საშუალო სკოლაში ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტი ერთ პატარა ოთახშია მოთავსებული, რის გამო მოუხერხებელია საჭირო სადემონსტრაციო-ლაბორატორიული მუშაობის მოწყობა. ასევე ერთ ოთახშია მოთავსებული ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტი ქ. ქუთაისის მე-16 საშუალო სკოლაში.

დაბალია საერთოდ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. მაგ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლაში 1042 მოსწავლიდან ვერ ას-

წრებს 199, აქედან სამ და მეტ საგანში—154 მოსწავლე. დაბალი წარმატების მქონე მოსწავლეთა უმრავლესობა მოდის უფროს კლასელებზე, რომელთაგან 49 არის კომკავშირელი; დაბალია აგრეთვე ამ სკოლაში პიონერთა მოსწრებაც—430 პიონერიდან ვერ ასწრებს 101, მათ შორის 79 სამ და მეტ საგანში. ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლაში 1519 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 204, აქედან სამ და მეტ საგანში—123; მაიაკოვსკის რაიონის ფერსათის რვაწლიანი სკოლის 97 პიონერიდან ვერ ასწრებს 25; მათგან 22 სამ და მეტ საგანში.

მაიაკოვსკის რაიონის ობჩის 1, წითელხევისა და ვარციხის სკოლებში არასწორადაა შედგენილი ცხრილი. საწარმოო სწავლების საგნების საათები არ არის განაწილებული სასწავლო გეგმის მიხედვით. მწარმოებლური შრომისათვის შედგენილ გეგმა-განრიგში შეტანილი ზოგიერთი საკითხი პრაქტიკულ ხასიათს არ ატარებს. ზოგ სკოლაში ჯერ კიდევ არაა დამყარებული წესრიგი აკადემიური წარმატების აღრიცხვის დარგში. ასე, მაგ. მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშ. სკოლაში ჟურნალში არაა შეტანილი ნიშნები ქართულ ენასა და ლიტერატურაში და რუსულ ენასა და ლიტერატურაში. ამავე სკოლის XI კლასში მოსწავლეები არ არიან გამოკითხული საქართველოს ისტორიაში, ხოლო მეოთხედის ბოლოს ზოგი დადებითი და ზოგიც უარყოფითი ნიშნით არის შეფასებული. ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლაში XI კლასის მოსწავლე თ. მ-ს საქართველოს ისტორიაში ორჯერ აქვს მიღებული „2" და მეოთხედური ნიშანი კი „4" უზის. ანალოგიური მდგომარეობაა მაიაკოვსკის რაიონის ფერსათის რვაწლიან, ვარციხის ობჩის 1-ლ, ქ. ქუთაისის 1-ლ, მე-2 და მე-16 საშ. სკოლებში.

არ ხორციელდება სისტემატური კონტროლი სკოლების ხელმძღვანელების მიერ საწარმოო სწავლების მიმდინარეობაზე, მცირე რაოდენობით არის მოსმენილი საწარმოო სწავლების გაკვეთილები მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის, ობჩის 1 საშუალო სკოლების დირექტორებისა და ქუთაისის 1-ლი, მე-2, მე-16 საშუალო სკოლების საწარმოო სწავლების დარგში სასწავლო ნაწილის გამგეების მიერ. მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები შრომითი და საწარმოო სწავლების საგნებში მშრალი და არაფრის მთქმელია.

ზოგჯერ უწიგნურად ფორმდება პედსაბჭოს ოქმები და სკოლის დირექტორის ბრძანებები (მაიაკოვსკის რაიონის ობჩის 1-ლი, ვარციხის, ქუთაისის მე-16 საშ. სკოლები) მეთოდგაერთიანებათა ერთი ნაწილი ჯეროვნად არ ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივნისის № 429 ბრძანე-

ბით „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ“, მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე არ იხილავენ პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ მეთოდური ხასიათის წერილებს და უკანასკნელ წლებში განათლების სამინისტროს მიერ სკოლებში ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად მიღებულ ღონისძიებებს: ასეთებია ქუთაისის მესამე საშუალო სკოლის I-II კლასების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება (ხელ-ლი თ. სულაქველიძე), მე-9 საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება (ხელმძღვანელი კ. ციციაშვილი), მე-18 საშუალო სკოლის უცხო ენების მეთოდგაერთიანება (ხელ-ლი ნ. ლომთაძე), მაიაკოვსკის რაიონის ობჩის 1-ლი საშუალო სკოლის გერმანული ენის, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება (ხელმძღვანელი ი. გენაძე), ვარციხის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება (ხელ-ლი ა. ფახურიძე). ყველა საწარმოოსწავლებიან სკოლაში ჯერ კიდევ არაა შექმნილი საწარმოო სწავლების კლასების მასწავლებელთა სასკოლო პოლიტექნიკური მეთოდური გაერთიანება პოლიტექნიკური ციკლის ზოგადსაგანმანათლებლო საგნების (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, ხაზვა, ბიოლოგია), ზოგადტექნიკური და ზოგადაგრონომიული დისციპლინებისა და თეორიული და პრაქტიკული საწარმოო სწავლების მასწავლებელთათვის.

შემოწმებული სკოლების ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელი არ მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 17 ივნისს დამტკიცებული დებულებით „რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი სკოლების კლასის ხელმძღვანელის მუშაობის შესახებ“. მაგ. კლასის ხელ-ები: მ. ბუზიაშვილი (მე-3 საშ. სკოლა), ტ. პახომოვა (მე-9 საშ. სკოლა), ლ. გოგისვანიძე (მე-18 საშუალო სკოლა) სამუშაო გეგმებში არ ითვალისწინებენ პიონერული რაზმეულების მუშაობაზე დახმარების გაწევას, ხოლო კლასის ხელ-ლი ც. შუბლაძე (მე-3 საშუალო სკოლა) არ ითვალისწინებს კავშირის დამყარებას იმ წარმოებასთან, სადაც ამ კლასის მოსწავლეები გადიან საწარმოო სწავლებას. კლასის ხელმძღვანელი ლ. გოგიაშვილი (მე-18 საშუალო სკოლა) თავის სააღმზრდელო გეგმაში კონკრეტულად არ მიუთითებს მშობელთა კრებების მოწვევაზე და სხვ. მაიაკოვსკის რაიონის სკოლებში კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები ჯერ კიდევ ნახევარწლიურია, ამ გეგმებს აკლია კონკრეტულობა.

ქ. ქუთაისის 1-2-3 და მე-18-ე, ხოლო მაიაკოვსკის რაიონის ობჩის 1-ლ, ვარციხის, წითელხევის საშუალო და ფერსათის რვაწლიანი სკოლების V—VIII—X—XI კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებში ადგილი აქვს ნიშნების გადასწორებისა და ამოფხეკის შემთხვევებს.

დღემდე არაა მოწესრიგებული საკლასო ჟურნალებში გავლილი მასალის აღრიცხვის საქმე. ზოგჯერ ჟურნალში არ შეაქვთ დამუშავებული მასალა ან ნაცვლად გავლილი თემისა დამუშავებული მასალის გრაფაში შეაქვთ შესაბამისი პარაგრაფების ნომრები (ვარციხის, წითელხევის, ფერსათის სკოლებში) ადგილი აქვს აგრეთვე ნიშნების გადასწორებისა და ამოფხეკის ფაქტებს. თითქმის ყველა შემოწმებულ სკოლაში არაზუსტად წარმოებს მოსწავლეთა დემოგრაფიული ცნობების შევსება და სხვ.

სასკოლო ბიბლიოთეკების უმრავლესობა ღარიბია საბავშვოტექნიკური ლიტერატურით. ტექნიკური ჟურნალებიდან სასკოლო ბიბლიოთეკებში გვხვდება მხოლოდ ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ქ. ქუთაისის და მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ი. გენძეხაძე და ვ. გიორგობიანი):

ა) განიხილონ ეს ბრძანება სახალხო განათლების საბჭოს გაფართოებულ სხდომებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) მიიღონ ორგანიზაციული ხასიათის ზომები ბრძანებაში დასახელებულ სუსტად მომუშავე მასწავლებლების მიმართ და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს 1963 წლის 15 მაისამდე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 28 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 19 იანვრის № 46 ბრძანება

### სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონების საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონების საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. ამ სკოლების უმეტესობას სასწავლო-ნივთიერი ბაზის მხრივ აქვს მუშაობის ნორმალური პირობები. თავის მხრივ, მასწავლებელთა დიდი ნაწილი ჯეროვნად ემზადება გაკვეთილებისათვის და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს საგნების სწავლებაში.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: ქართულ ენასა და ლიტერატურაში დ. ხევსურიანი (ქ. ცხაკაიას მუშა ახალგაზრდობის სკოლა), ლ. მიქელაძე (სამტრედიის რაიონის კულაშის მუშა ახალგაზრდობის სკოლა); რუსულ ენასა და ლიტერატურაში—მ. ვანჩუკოვა (კულაშის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), მათემატიკაში—მ. ლორია, პ. შენგელია, შ. მინაშვილი, ბ. მიხელაშვილი, თ. დონდუა (ქ. სამტრედიისა და კულაშის მუშა ახალგაზრდობის სკოლები); ისტორიაში—შ. გიორგაძე (ქ. სამტრედიის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), ჯ. კილაძე (კულაშის მუშა ახალგაზრდობის სკოლა) და გეოგრაფიაში ლ. ცომაია (ქ. ცხაკაიას მუშა ახალგაზრდობის სკოლა), თ. აბზიანიძე, მ. ჩიხლაძე (ქ. სამტრედიის მუშა ახალგაზრდობის სკოლა).

მიუხედავად ამისა, სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონების საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დღემდე არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ მათ წინაშე მდგარ საპასუხისმგებლო ამოცანებს და სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში მათ ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი.

სამტრედიის რაიონში არასაკმარ მუშაობა ტარდება საშუა-

ლო განათლების არმქონე ახალგაზრდების სწავლებაში ჩასაბმელად. ასე, მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს სახალხო მეურნეობის გეგმით რაიონში უნდა მუშაობდეს მუშა ახალგაზრდობის ერთი სკოლა 26 კლასით და 482 მოსწავლით, ფაქტიურად მუ[illegible] სკოლის 22 კლასი 408 მოსწავლით. ამასთან ქ. სამტრედიის მუშა ახალგაზრდობის სკოლას (დირექტორი ტ. მეგენეიშვილი) ქალაქის მარტო 4 წარმოებაში ყავს აღრიცხული სწავლებაში ჩაუბმელი საშუალო განათლების არმქონე 265 ახალგაზრდა; მათი სწავლებაში ჩასაბმელად არადამაკმაყოფილებლად იმუშავა აგრეთვე ქ. სამტრედიის მუშა ახალგაზრდობის დაუსწრებელმა სკოლამ (დირექტორი დ. ჭედია).

ნაკლოვანებებით ხასიათდება ცალკეული საგნების სწავლება. მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევს სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებას, არ ითვალისწინებს საღამოს სკოლების მუშაობის სპეციფიკას, რის გამო დაბალია მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ათვისების ხარისხი.

ცუდად მუშაობს ქ. ცხაკაიას მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. ახალაია. იგი არ ემზადება გაკვეთილისათვის, საჭირო ყურადღებას არ აქცევს მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობას, უყურადღებოდ სტოვებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს და ამის შედეგად ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ამ საგანში. შემოწმების დღეს X[1] კლასის მოსწავლეთა უმრავლესობამ არადამაკმაყოფილებლად შეასრულა საკონტროლო წერა თემაზე: „კრიტიკული რეალიზმი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“. ნამუშევრებში დაშვებული უხეში ფაქტობრივი და ენობრივი ხასიათის შეცდომების დიდი ნაწილი შეუმჩნეველი დარჩა მასწავლებელს და მოსწავლეთა ცოდნაც არაობიექტურად იქნა შეფასებული.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. სამტრედიის მუშა ახალგაზრდობის სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. კიკაბიძე. იგი საჭირო ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრებას, მეთოდურად სწორად ვერ უკავშირებს ერთმანეთს ძველ და ახალ მასალას, წერით და ზეპირ მეტყველებაში უშვებს უხეშ შეცდომებს, რის გამო მოსწავლეებმა სუსტად იციან საპროგრამო მასალა.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა ქ. ცხაკაიას მუშა ახალგაზრდობის სკოლის IX[1] (მასწავლებელი გ. ფალავა) და ქ. სამტრედიის მუშა ახალგაზრდობის სკოლის VIII[3] (მასწავლებე-

ლი შ. სტურუა) კლასებში. მასწავლებელი გ. ფალავა IX კლასში მხოლოდ მაგალითების ამოხსნაზე ამუშავებს მოსწავლეებს; იგი გულდასმით არ ასწორებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს და ლიბერალურად აფასებს მათ. მათემატიკის მასწავლებელი შ. სტურუა არ ემზადება გაკვეთილისათვის; მან VIII კლასში ოთხნიშნა მათემატიკური ცხრილის აგებისა და ხმარების ხერხების გაცნობისას მახვილი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციების მნიშვნელობანი მოსწავლეებს გააცნო არა როგორც სახელდებულ რიცხვთა შეფარდება—განყენებული რიცხვი, არამედ როგორც მონაკვეთების სიგრძე—სახელდებული რიცხვი.

სამტრედიის რაიონის კულაშის მუშა ახალგაზრდობის სკოლის ისტორიის მასწავლებელი პ. მიქელაძე ანგარიშს არ უწევს მოსწავლეთა მომზადების დონეს. იგი VII კლასში სასკოლო პროგრამას გვერდს უვლის. ახალ მასალას გართულებული სახით აწოდებს მოსწავლეებს, რაც მათთვის ძნელად გასაგებია; ასეთ პირობებში ახალი მასალის განმტკიცება აღარ ესწრება.

ქ. სამტრედიის მუშა ახალგაზრდობის სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ა. მალიგინა მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს, იგი ახალი მასალის ახსნისას სისტემატურად იხედება სახელმძღვანელოში; მან ვერ შესძლო დასავლეთ საქართველოს ყველა ადმინისტრაციული რაიონის დასახელება; გაკვეთილზე ნაცვლად პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკისა, გამოიყენა ფიზიკური რუკა და მახარაძის, ლანჩხუთისა და ყოფილი ჩოხატაურის რაიონები შეცდომით აჩვენა აფხაზეთის ასსრ-ის ალმოსავლეთით. მასწავლებელი ა. მალიგინა სპეციალობით ისტორიკოსია, იგი არ ფლობს არც გეოგრაფიას და არც მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს.

სკოლების დირექტორები და პედაგოგიური კოლექტივები სუსტად არიან დაკავშირებული ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან, არ ზრუნავენ განამტკიცონ მათთან საქმიანი კავშირი. ამით აიხსნება, რომ დღემდე სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონებში არ არის შექმნილი საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამხმარე ხელშემწყობი კომისიები და არც ერთი წარმატებით მოსწავლე ახალგაზრდა არ სარგებლობს შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის შესახებ მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათებით.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სასკოლო მუშაობის დაგეგმვის დარგში: სკოლის წლიური, პედსაბჭოს და კლასის ხელმძღვანელთა

ნახევარწლიური სამუშაო გეგმები შინაარსით თითქმის არაფრით განსხვავდება მასობრივი სკოლების გეგმებისაგან; ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქ. ცხაკაიას მუშა ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი ს. ესართია).

ბიბლიოთეკა

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება გაკვეთილების ცხრილი: ქუთაისის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა მიმდინარე სასწავლო წლიდან გადაკეთდა მუშა ახალგაზრდობის სკოლად და მას აქვს სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ორი სალიკვიდაციო XI კლასი. მიუხედავად ამისა, გაკვეთილების ცხრილი ამ კლასებშიც მუშა ახალგაზრდობის სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით არის შედგენილი. ზოგიერთი სკოლის VI კლასებში „ზოოლოგიის" ნაცვლად ცხრილით ისწავლება „ბოტანიკა", VII კლასში კი—„ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიის" ნაცვლად—„ზოოლოგია". ანალოგიური შეცდომების შესახებ მკაფიოდ იყო მითითებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 11 ივნისის ბრძანებაში „აჭარის ასსრ ბათუმის, ქედისა და ქობულეთის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ", მაგრამ, როგორც ჩანს, ადგილებზე ამ დოკუმენტს არ გაეცნობიან და საჭირო დასკვნები არ გაუკეთებიათ.

სამტრედიის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამოყოფილი საათები დათმობილი აქვს რუსულ ენასა და მათემატიკას. IX—XI კლასებში ცალ-ცალკე არ არის შეტანილი რუსული ენისა და ლიტერატურის საათები.

სკოლებში არასაკმაო მუშაობა ტარდება მოსწავლე ახალგაზრდობაში შეგნებული დისციპლინის აღსაზრდელად. ხშირია მოსწავლეთა მიერ გაკვეთილებზე არასაპატიო მიზეზით დაგვიანების, ან სრულებით გამოუცხადებლობის შემთხვევები. მაგალითად, ცხაკაიას მუშა ახალგაზრდობის სკოლაში 17 დეკემბერს 214 მოსწავლიდან პირველ გაკვეთილზე დაიგვიანა 123-მა, 68 მოსწავლე კი სრულიად არ გამოცხადდა. ამასთან, მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ ერიდება თვალის ახვევას—გაკვეთილებზე მოსწავლეთა გამოუცხადებლობას საკლასო ჟურნალებში არ აღნიშნავს. გაკვეთილების სისტემატური გაცდენის გამო მიმდინარე სასწავლო წელს, სკოლის დირექტორის ბრძანებით, მოსწავლეთა სიიდან ამოირიცხა 20 მოსწავლე. გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით სისტემატური გაცდენის შემთხვევებს ადგილი აქვს აგრეთვე ქ. სამტრედიის მუშა ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებშიც.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სასკოლო დოკუმენტების წარმოების საქმეში. ცუდად ივსება, კერძოდ, სკოლის დღიურები, პედსაბჭოს საოქმე წიგნები დაუნომრავი, დაულუქავი და შეუვსებელია, მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირად საქმეებში აკლია სხვადასხვაგვარი ცნობა და სხვ.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სახელმძღვანელო დოკუმენტების განხილვას და მათი განხორციელების მიზნით საჭირო ღონისძიებათა გატარებას. ასე, მაგალითად, აღნიშნულ რაიონებში დღემდე არ არის განხილული განათლების სამინისტროს საინსტრუქციო-მეთოდური წერილი „საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ“, აგრეთვე 1961 წლის 29 ივნისის და გასული წლის 12 ივნისის ბრძანებები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონების საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაში არსებული ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები საკმაო ხელმძღვანელობას და კონტროლს არ ახორციელებენ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე.

1. აღვნიშნავ რა სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონების საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი დასახელებული რაიონების განათლების განყოფილებათა არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას, ვავალებ ამ განყოფილებათა გამგეებს:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი, პერიოდულად შეისწავლონ სკოლების მუშაობის, მათი წარმოება-დაწესებულებებთან, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის მტკივნეული საკითხები და, საჭიროების შემთხვევაში, გახადონ ისინი ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირულ-პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების მსჯელობის საგნად;

ბ) დროულად გააცნონ სკოლებს განათლების სამინისტროდან მიღებული სახელმძღვანელო დოკუმენტები და პირადი მეთვალყურეობა დააწესონ მათში მითითებულ ღონისძიებათა განხორციელებაზე;

გ) სათანადო სასჯელი დაადონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ არადამაკმაყოფილებლად მომუშავე სკოლების დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგეებს და მასწავლებლებს.

2. სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილებამ:

ა) სასწავლო და ნივთიერი ბაზის მხრივ ნორმალური პირობები შეუქმნას სამტრედიის მუშა ახალგაზრდობის სკოლას;

ბ) საგნის უცოდინარობის გამო დაუყოვნებლივ ჩამოართვას ისტორიის მასწავლებელ ა. მალიგინას გეოგრაფიის საათები და უზრუნველყოს სკოლა ამ საგნის კვალიფიციური მასწავლებლით.

3. ცხაკაიას განათლების განყოფილებამ მომავალი სასწავლო წლიდან ქართული ლიტერატურის გაკვეთილები ქ. ცხაკაიას მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის უფროს კლასებში გადასცეს კვალიფიციურ მასწავლებელს.

4. სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონების განათლების განყოფილებებმა ა/წ 5 მარტამდე მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 11 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 19 იანვრის № 45 ბრძანება

### პიონერ-მოსწავლეთა შორის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სკოლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობა. ამ მხრივ ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური (დირექტორი მ. ა. ერისთავი). ტურისტულმა სადგურმა 1961—1962 წლებში პიონერ-მოსწავლეთა II და III საკავშირო ექსპედიციაში ჩააბა 3550 რაზმი—16635 მონაწილით; სკოლებში შეიქმნა მხარეთმცოდნეობითი კუთხეები და მუზეუმები, მოეწყო გამოფენები სხვადასხვა თემაზე, როგორიცაა—„ჩვენი სკოლის პიონერთა და კომკავშირელთა სასახელო საქმეები“, „კომუნისტური შრომის ბრიგადები“, „სწავლასა და სამამულო ომში სახელგანთქმული სკოლის ყოფ. პიონერები და კომკავშირლები“. ექსპედიციების მუშაობაში მასობრივი მონაწილეობა მიიღეს სოხუმის, ბათუმის, ახალციხის, თელავის, ქობულეთის, წულუკიძის, მახარაძის, გორის რაიონების სკოლებმა.

რესპუბლიკის 70 სკოლაში მუშაობს ნორჩ ფენოლოგთა ჯგუფები, ნორჩი ფენოლოგები გეოგრაფიისა და ბიოლოგიის მასწავლებლების ხელმძღვანელობით სისტემატურ დაკვირვებას აწარმოებენ ბუნებაზე. 1962 წლის ზამთრის არდადეგების პერიოდში ტურისტულმა სადგურმა მოაწყო ნორჩ ფენოლოგ-ტურისტთა პირველი რესპუბლიკური კონფერენცია, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების წევრები აკად. ა. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. მათ გულდასმით მოისმინეს ნორჩ ფენოლოგთა მოხსენებები, დაათვალიერეს მათ მიერ შეგროვილი და დამუშავებული მასალები, კარგად შეაფასეს მათი ნამუშევრები და ბევრი სასარგებლო რჩევა-დარიგება მისცეს ნორჩ ტურისტებს.

ტრადიციად იქცა ზამთრის არდადეგების პერიოდში პატარა

ცემში ნორჩ-ტურისტთა სათხილამურო შეკრებების ჩატარება.

სადგურის ინიციატივით გასულ წელს ფშავში მოეწყო ნორჩ ტურისტთა მეგობრობის პირველი შეკრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის 103 ზურგ-ჩანთამოკიდებულმა ნორჩმა მოგზაურმა.

ჩატარდა ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური ესტაფეტა, რომელშიც მონაწილეობდა 51.304 პიონერ-მოსწავლე; ნორჩი ტურისტის ნიშანზე მომზადდა 10.986, ხოლო სსრ კავშირის ტურისტთა ნიშანზე 3576 პიონერ-მოსწავლე.

1962 წლის ივლისში რესპუბლიკის 11 რაიონსა და ქალაქში (თელავი, სიღნაღი, გორი, დუშეთი, ქუთაისი, ზუგდიდი, მახარაძე, გეგეჭკორი, დმანისი, ბორჯომი, საჩხერე) მოეწყო ნორჩ ტურისტთა სარაიონთაშორისო შეკრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 895 პიონერ-მოსწავლემ, შეკრებები მოეწყო ბუნებით მდიდარ, ჰავით ჯანსაღ ადგილებში, სადაც პიონერ-მოსწავლეებმა კარგად დაისვენეს და გონივრულად გაატარეს დრო.

1962 წლის აგვისტოში სოფ. გვერდისუბანში (ბორჯომის რაიონი) ჩატარდა ნორჩ ტურისტ მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკური შეკრება. აღნიშნულ შეკრებებში მონაწილეობდა რესპუბლიკის 38 ქალაქისა და რაიონის 130 ნორჩი ტურისტი.

მიმდინარე წლის ზაფხულში ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული 12 ბაზა მოემსახურა მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ 6160 და საქართველოს სსრ რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსულ 2658 ნორჩ ტურისტს. სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსულნი დამხვდურთ აცნობდნენ თავიანთ კუთხეს და იმართებოდა დამეგობრების საღამოები. თავის მხრივ, საქართველოს ნორჩი ტურისტები მიწვეული იყვნენ ქ. მოსკოვის პიონერთა ბანაკში „ლასტოჩკაში". მათ დაათვალიერეს მოსკოვის ღირსშესანიშნავი ადგილები, შეხვდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების პიონერებს, იმოგზაურეს მოსკოვის არხით, იყვნენ პ. ჩაიკოვსკის სახლ-მუზეუმში ქ. კლინში, ინახულეს და ყვავილებით შეამკეს სამოქალაქო ომის გმირის ვ. კიკვიძის საფლავი.

მოსწავლეთა შორის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის დანერგვის საქმეში სკოლებს ქმედით დახმარებას უწევენ საჩხერის, გეგეჭკორის, მახარაძის, ტყიბულის, თბილისის, ქუთაისისა და გორის განათლების განყოფილებანი.

კარგად მუშაობს თბილისის საექსკურსიო-ტურისტული ბაზა (დირექტორი ც. თარგამაძე). ამ ბაზამ 1962 წლის ზაფხულში მიიღო და მომსახურება გაუწია სსრ კავშირის 49 პუნქტიდან ჩამო-

სულ 83 ჯგუფს 1393 ექსკურსანტის შემადგენლობით. ჩამოსულმა ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები — ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი, ავლაბრის არალეგალური სტამბა, ზოოპარკი, ბოტანიკური ბაღი, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, მთაწმინდა, ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკი. ტურისტულ ბაზაში ტარდებოდა მეგობრობის საღამოები, სადაც სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები ხვდებოდნენ ერთმანეთს, უამბობდნენ თავიანთი ქალაქის შესახებ, უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, უშვებდნენ საინტერესო კედლის გაზეთებს და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. თბილისის სკოლებისა და თერჯოლის რაიონის სოფ. ჩხარის, სოხუმის რაიონის სოფ. ბესლეთის, ცაგერის რაიონის ლაილაშის, ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირის, საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის და კორბოულის საშუალო სკოლების გულმოდგინე მუშაობა. ეს სკოლები სისტემატურად აწყობდნენ ლაშქრობებს. მაგალითად, პიონერ-მოსწავლეთა მეორე და მესამე საკავშირო ექსპედიციაში მონაწილეობდა თბილისის 84 სკოლის 158 რაზმი. საექსპედიციო რაზმებმა შეაგროვეს მასალები და დაამუშავეს თემები: „მშობლიური სკოლის ისტორია", „ისინი იყვნენ ჩვენი სკოლის პიონერთა ორგანიზაციაში", „კომუნისტური შრომის ბრიგადები". კარგადაა ორგანიზებული ტურისტული, მხარეთმცოდნეობითი მუშაობა თერჯოლის რაიონის სოფ. ჩხარის საშუალო სკოლაში (ტურიზმის ორგანიზატორი — ისტორიის მასწავლებელი ა. ი. ბუცხრიკიძე). მესამე საკავშირო ექსპედიციის პერიოდში სკოლამ მოაწყო 10 ერთდღიანი და ორი ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა, ნორჩებმა შეისწავლეს მშობლიური სოფლის, სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციის ისტორია, რაიონის 20-მდე საექსკურსიო ობიექტზე შეადგინეს პასპორტი, დაამუშავეს სამი მარშრუტი, იცავენ დაზიანებისაგან კულტურის ძეგლებს, პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით სკოლაში მოაწყვეს მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი. სკოლის ტურისტებმა სოფ. მიჩიტაურში აღმოაჩინეს ნეოლითის ხანის ადამიანის სადგომი, კარსტული გამოქვაბული და დღემდე უცნობი რვა ისტორიული ძეგლი. დიდი თანამემამულის დ. კლდიაშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყო ლაშქრობა ჩხარი — ძევრი — ქაჩხურის ხეობა — სიმონეთი. ამ სკოლის მოსწავლეები აგროვებენ რაიონში გავრცელებულ მთამადნეულის კოლექციას, ადგენენ რაიონის ფლორისა და ფაუნის რუკას. სკოლის ინიციატივით მოეწყო ნორჩ ტურისტთა პირველი რაიონული შეკრება სკანდას

ციხეზე, რომელშიც 150 ნორჩი ტურისტი იღებდა მონაწილეობას. სკოლის ნორჩ ტურისტებს საქმიანი კავშირი აქვთ დამყარებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან, მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ განყოფილებასთან და ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკურ სადგურთან.

გაგრის რაიონის ხეივანის მე-2 საშ. სკოლის ნორჩმა ტურისტებმა აღმოაჩინეს პალეოლითის ხანის გამოქვაბული (ხელმძღვანელები ნ. გ. უმილევსკი, ნ. ბელოვა); წულუკიძის რაიონის, დედალაურის საშუალო სკოლის ნორჩმა ტურისტებმა ბრინჯაოს ხანის სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სალესავი მიწის საბადო, ამავე რაიონის ღვედის რვაწლიანი სკოლის ტურისტებმა—ძველი სამჭედლო (ხელმძღვანელი ა. კაკაბაძე).

თბილისის 85-ე საშუალო სკოლის V კლ. მოსწავლემ, ტურისტული სადგურის აქტიურმა წევრმა თ. ჩიხლაძემ მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე იპოვა უნიკალური ჯაჭვის პერანგი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. რესპუბლიკის 25 რაიონისა და ქალაქის 102 სკოლამ შეადგინა 201 საექსკურსიო ობიექტის პასპორტი. საუკეთესოდ შედგენილი პასპორტები წარმოადგინეს, კერძოდ, ქ. ქუთაისის, თელავის, საჩხერის, ჩხოროწყუსა და თერჯოლის რაიონების სკოლებმა.

წითელწყაროს, ქარელის, დუშეთის, თიანეთის, ამბროლაურის, ზუგდიდის, მაიაკოვსკის, სიღნაღის, ბოლნისის, გაგრის, ბათუმის რაიონების სკოლებმა მიმდინარე წელს მოაწყეს ნორჩ ტურისტთა ღამის სათევი 22 ბაზა.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს:

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ მასობრივად დანერგილი არ არის შემოქმედებითი ტურიზმი და მხარეთმცოდნეობა; საშუალო და რვაწლიანი სკოლების მნიშვნელოვან ნაწილში ჩამოყალიბებული არაა ტურიზმის სექციები; არ ხდება ტურიზმის საზოგადოებრივი ორგანიზატორების სათანადოდ გადამზადება მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ლანჩხუთის, ონის, ორჯონიკიძის, წალენჯიხის, ხობის, ცხაკაიას რაიონების სკოლების მოსწავლეები მონაწილეობას არ ღებულობენ ნორჩ ტურისტთა შეკრებებზე; არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1961 წლის 10 IV № 223 ბრძანების ის ნაწილი, რომელიც ეხება რაიონის (ქალაქის) სკოლებში სათანადოდ მოწყობილი ოთახების გამოყოფას, რითაც უზრუნველყოფილი

იქნება ღამის გასათევად ტურისტული ჯგუფის მიღება, ტურისტული ჯგუფისათვის კარვების შეძენა და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) არსებითად გააუმჯობესონ განათლების განყოფილებების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭოებთან არსებული ტურიზმის სექციების მუშაობა, როგორც წესი, რაიონის (ქალაქის) ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივებთან ჩამოაყალიბონ ტურისტული წრეები და მათი მუშაობა წარმართონ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ დებულებების, — „ნორჩი ტურისტისა“ და „სსრ კავშირის ტურისტის“ ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად;

ბ) გაატარონ სათანადო ღონისძიებები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 10 აპრილის № 223 ბრძანების იმ ნაწილის შესასრულებლად, რომელიც ეხება რაიონის (ქალაქის) სკოლებში სათანადოდ მოწყობილი ღამის გასათევი ოთახების გამოყოფას ტურისტული ჯგუფების მისაღებად;

გ) კომკავშირულ, პროფკავშირულ და სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად სათანადო მუშაობა განახორციელონ იმ მიზნით, რათა ყოველწლიურად ზაფხულის არდადეგების პერიოდში ეწყობოდეს ნორჩ ტურისტთა მოკლევადიანი შეკრებები — საველე პირობებში.

2. წინადადება მიეცეს ლანჩხუთის, ონის, ორჯონიკიძის, წულუკიძის, ხობისა და ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს მიიღონ საჭირო ზომები მოსწავლეთა შორის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად და საქმე ისე წარმართონ, რომ აღნიშნული რაიონების სკოლები სისტემატურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ ტურისტულ ღონისძიებებში.

3. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ:

ა) თვალსაჩინო ხელსაწყოთა საბაზო მაღაზიის საშუალებით რესპუბლიკის სკოლებისათვის შეიძინოს ტურისტული კარვები და ინვენტარი იმ განაცხადის მიხედვით, რომელიც წარედგინა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასა და ვაჭრობის სამინისტროს;

ბ) გამოუყოს ბავშვთა საექსკურსიო ტურისტულ სადგურს 1963 წლის განმავლობაში 300 კგ. ქაღალდი.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) სკოლების სამმართველოსთან შეთანხმებით გაითვალისწინოს ყოველწლიურად მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის დარგში პედაგოგ-ინსტრუქტორთა სათანადო კონტინგენტის გადამზადება.

5. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურისათვის ერთი საექსკურსიო ავტობუსის გამოყოფის შესახებ.

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს სასწავლო ფილმის „ნორჩი ფენოლოგები“ გადაღება; სკოლების სამმართველომ მიიღოს საჭირო ზომები ფილმის სცენარის დასამუშავებლად და ამასთანავე დროულად გააფორმოს შეკვეთა დოკუმენტური და სასწავლო ფილმების სტუდიასთან ამ ფილმის გადაღების შესახებ 1963 წლისათვის.

7. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ შეისწავლოს საკითხი და წარმოადგინოს წინადადებანი ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული სადგურისათვის მსუბუქი ტიპის ბანაკის აგების შესახებ სოფ. გვერდისუბნის ტერიტორიაზე.

8. რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა აღნიშნული ბრძანება განიხილონ პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, გაატარონ ქმედითი ღონისძიებები სკოლაში მოსწავლეთა შორის მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის ჯეროვნად განვითარებისათვის.

9. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) დააწესოს მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 28 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

### რესპუბლიკის სკოლებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ „რესპუბლიკის სკოლებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1962 წლის 6 აპრილის № 1/511 დადგენილების შესასრულებლად ჩატარებულმა დათვალიერებამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია სკოლებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას და ხელი შეუწყო სკოლებში მოსწავლეთა შრომის პირობების, სასკოლო სახელოსნოებში უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის გაუმჯობესებას.

დათვალიერების პერიოდში ქალაქებისა და რაიონის მრავალ სკოლაში მოწესრიგდა ელექტრომეურნეობა, სახარატო ჩარხებსა და დაზგა-დანადგარებს გაუკეთდა დამცველი მოწყობილობა, ბევრი სასკოლო სახელოსნო გადატანილ იქნა კეთილმოწყობილ სათავსოებში და დაკომპლექტდა ახალი ჩარხებითა და სასწავლო იარაღებით, გაუმჯობესდა საწარმოო სანიტარიის პირობები, მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნენ სპეც-ტანსაცმლითა და სხვა პირადი დაცვის საშუალებებით.

საზოგადოებრივი დათვალიერების ორგანიზებულად ჩატარებაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, ფოთის, ჭიათურის, აგრეთვე აბაშის, ამბროლაურის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ქარელის, კასპის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, საჩხერის, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, ტყიბულის, ხაშურის, ხობის, წულუკიძის, ცხაკაიას, წითელწყაროსა და წყალტუბოს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა და პროფორგანიზაციებმა.

აღნიშნული ღონისძიება სუსტად ჩატარდა ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გეგეჭკორის, ყვარელის, ლენტეხის, მარნეულის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, სიღნაღის, წალკის და ჩოხატაურის რაიონებში. საზოგადოებრივი დათვალიერება არ ჩატარდა: ახმეტის, ბორჯომის, ვანის, გორის, გურჯაანის, დმანისის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, თეთრიწყაროს, ცაგერის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონებში, ქ. ქ. ქუთაისსა და გორში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. საზოგადოებრივი დათვალიერების კარგად ჩატარებისათვის დაჯილდოვდნენ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით შემდეგი ამხანაგები: (სია თან ერთვის).

2. დაევალოს სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებების გამგეებს, პროფკავშირის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს, აგრეთვე სკოლის დირექტორებს და ადგილობრივ პროფორგანიზაციებს შეინარჩუნონ და განამტკიცონ საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგად მოპოვებული მიღწევები და მიიღონ გადამჭრელი ზომები დათვალიერების დროს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

3. სისტემატურად შეამოწმონ სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მდგომარეობა და მიიღონ ზომები მათი შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

4. ვინაიდან დათვალიერების შედეგად უმრავლეს სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტა-

რიის დაცვა, მიზანშეწონილად ჩაითვალოს ასეთი დათვალიერება ჩატარდეს ყოველწლიურად.

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სარაიონო და საქალაქო სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, პროფკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს 1963 წლის მარტ-აპრილის თვეებში ჩაატარონ სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის დაცვის მდგომარეობის მე-2 საზოგადოებრივი დათვალიერება. დათვალიერების შედეგები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს 1963წლის 25 მაისამდე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო
დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის
საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის
თავმჯდომარე **ლ. მაღლაფერიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი

# სია

იმ პირთა, რომლებმაც 1962 წელში რესპუბლიკის სკოლებში ჩატარებული შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის საზოგადოებრივ დათვალიერებაში მიიღეს აქტიური მონაწილეობა, უკეთეს შედეგებს მიაღწიეს და ჯილდოვდებიან სიგელებით:

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ჯიქია ვლადიმერ დიმიტრის ძე;

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე ფერაძე ქეთევან ლავრენტის ასული;

ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში—აბაშიძე გიორგი ვიქტორის ძე;

ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში—ჯეგნარაძე ოთარ პეტრეს ძე:

ქ. თბილისის 52-ე რუსული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში—გულსტი ალექსანდრე ბენიამინის ძე;

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე—მაჭარაშვილი ანტონ არჩილის ძე;

ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე—შენგელია ალექსანდრა იასონის ასული;

ქ. თბილისის 67-ე საშუალო სკოლის დირექტორი—ვალაშვილი გიორგი მიხეილის ძე;

ქ. თბილისის 72-ე საშუალო სკოლის დირექტორი—ლითანიშვილი ვასილი ნიკოლოზის ძე;

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე—მარკოსიანი ივანე სერგოს ძე;

ქ. თბილისის 32-ე საშუალო სკოლის დირექტორი—ლაშაური ვალერიან ზაქარიას ძე;

ქ. თბილისის 38-ე რუსული საშუალო სკოლის დირექტორი—სტეცენკო დიანა პეტრეს ასული;

ქ. თბილისის 38-ე რუსული საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე ლაშხაური მარიამ ივანეს ასული;

ქ. თბილისის 36-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე—კუტუბიძე გრიგოლ იესეს ძე.

ბიბლიოთეკა

### ლანჩხუთის რაიონი

სუფსის საშუალო სკოლის დირექტორი—კვაჭაძე გრიგოლ ამბაკოს ძე;

სუფსის საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე—გოგუა ალექსი შალვას ძე;

შრომის მასწავლებელი — დობორჯგინიძე ვარლამ მელენტის ძე;

შუხუთის საშუალო სკოლის დირექტორი—ტულუში მიხეილ ალექსანდრეს ძე;

შუხუთის საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე—ორაგველიძე ნორა კონსტანტინეს ასული;

სახელოსნოს გამგე—ფირცხალაიშვილი კოტე ხარლამპის ძე;

ჯურუყვეთის საშუალო სკოლის დირექტორი—ანთაძე ავთანდილ ვიქტორის ძე;

წყალწმინდის 8 წლიანი სკოლის დირექტორი—ურუშაძე შოთა ნიკიფორეს ძე;

ადგილკომის თავმჯდომარე—იმნაიშვილი დარეჯან თაყოს ასული;

ნიგვზიანის საშუალო სკოლის დირექტორი—მოისწრაფიშვილი ოლღა არსენის ასული;

ნიგვზიანის საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე—ტულუში ისილო აპოლოს ძე:

ნიგვზიანის საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი—მურვანიძე ივანე მიხეილის ძე.

ლამილელის 8 წლიანი სკოლის შრომის მასწავლებელი—ნაჭყებია შოთა იკის ძე:

### ტყიბული

ტყიბულის № 3 საშუალო სკოლის დირექტორი—კალბასინა პოლინა ანდრიას ასული;

ტყიბულის № 5 საშუალო სკოლის დირექტორი—ბრეგვაძე კონსტანტინე კონსტანტინეს ძე;

ტყიბულის № 2 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე—ცირეკიძე ავალო დავითის ძე;

ტყიბულის № 2 საშუალო სკოლის ადგილკომის თავ-რე—ტურძილაძე ვახტანგ სიმონის ძე;

ელექტრო-მექანიკური სახელოსნოს უფროსი—კაზიონი ვლადიმერ გიორგის ძე;

ტყიბულის განათლების განყ. გამგე—ნასარეია გრიგოლ ნესტორის ძე;

ტყიბულის პროფკავშირის რაიკომის თავ-რე—ქარქაშაძე იაშა კონსტანტინეს ძე.

### ცხაკაია

განათლების განყოფილების გამგე—კერძაია ერეთეოზ მიტროფანეს ძე;

პროფკავშირის რაიკომის თავ-რე—გალილია ლამარა დავითის ასული;

№ 2 საშუალო სკოლის დირექტორი—გუგუნავა ნ. გ.

№ 2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე საწარმოო სწავლების დარგში—ხოფერია გ. ნ.

№ 1 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე საწარმოო სწავლების დარგში—ხოჭოლავა ზ. გ.

თეკლათის საშუალო სკოლის დირექტორი—მაქაცარია ვ.

თეკლათის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე საწარმოო სწავლების დარგში—გვილავა ბ.

### წყალტუბო

განათლების განყოფილების გამგე—თევდორაძე მარიამ მელიტონის ასული;

პროფრაიკომის თავ-რე—ძიძიგური ვალენტინა კლიმენტის ასული.

მიღებულ იქნას ცნობად, რომ დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის მადლობა გამოეცხადათ განათლების განყოფილების გამგეების მიერ:

ქ. წულუკიძის სკოლა-ინტერნატის დირექტორს სტეფანე კონსტანტინეს ძე ჭოლოკავას და გორდის სკოლა-ინტერნატის დირექტორს—დავით პავლეს ძე უგულავას.

წულუკიძის 1 საშუალო სკოლის დირექტორს— კ. მ. ცაცუას;

ივანდიდის 8 წლიანი სკოლის დირექტორს—ბიქტორ ჭოლო-კავას;

ყვარლის 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს ნ. ფეიქრიშვილს;

1 საშუალო სკოლის მასწავლებელს ნ ცუკილაშვილს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 საშუალო სკოლის მასწავლებელს ტ. კვიჟინაძეს;

1 საშუალო სკოლის მასწავლებელს გ. ჯალაიანს;

1 საშუალო სკოლის მასწავლებელს ე. ჩახნაშვილს;

წითელწყაროს 8წლიანი სკოლის მასწავლებელს ვ. ხაჩიშვილს;

წითელწყაროს " " " ს. დავითაშვილს;

ამავე რაიონის გრემის 8 წლიანი სკოლის მასწავლებელს ე. ხეჩიაშვილს.

" " " " ა. ავგაროზიშვილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მეთოდური მითითებანი წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში I—VIII და IX—XI კლასებში

მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის ამაღლება, მისი ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ერთ-ერთ სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს. ამ მიზნით სკოლაში თანმიმდევრულად ხორციელდება ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ წერითი სამუშაოების მიზანშეწონილად წარმართავს, მათ მაღალხარისხოვნად შესრულებას. ქართულ ენასა და ლიტერატურაში გეგმიანად ტარდება საკლასო, საშინაო და საკონტროლო წერითი სამუშაოები.

წერითი მუშაობის სახეები უნდა იყოს მრავალფეროვანი და ხელს უწყობდეს მოსწავლეთა მეტყველებისა და აზროვნების განვითარებას.

წერითი მუშაობისას ცალკე კლასების მიხედვით შემდეგ ძირითად სახეებს უნდა ვიყენებდეთ.

## 1. დაწყებითი კლასები

1-ლი კლასი. ასოთა მართებულად წერა მელნით ოთხხაზიან რვეულში, წინადადებების, პატარა მოთხრობებისა და ლექსების გადმოწერა დაფიდან და წიგნიდან; გავლილი მასალიდან კითხვაზე პასუხის გაცემა; მოკლე წინადადებათა წერა სმენითი კარნახით; ორი-სამი უწერტილო თხრობითი წინადადების გადაწერა დაფიდან და წერტილის დასმა და სხვ.

მე-2 კლასი. გადაბმული ასოებით წერა ორხაზიან რვეულში; კითხვაზე პასუხის გაცემა (შესწავლილი ტექსტის მიხედვით); შესწავლილი მცირე მოცულობის ლექსებისა და მოთხრობების წიგნიდან გადაწერა; სმენითი კარნახით წერა; პუნქტუაციური ხასიათის სავარჯიშოები (სასვენი ნიშნების—წერტილის, კითხვითი და ძახილის ნიშნებისა და მძიმის თავ-თავის ადგილას ხმარება); მიცემული სიტყვებით წინადადების შედგენა; მარტივი შინაარსის სუ-

რათის აღწერა (მასწავლებლის დახმარებით); ასოგამოტოვებულ მარცვალგამოტოვებულ სიტყვათა გადაწერა დაფიდან და შევსება; სიტყვაგამოტოვებული წინადადებების გადაწერა დაფიდან და შევსება და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-3 კლასი. ცალხაზიან რვეულში გადაბმული ასოებით წერა (აბზაცის დაცვით); მცირე მოცულობის ნაწარმოების ან მისი ნაწილის შინაარსის დაწერა გეგმის მიხედვით (მასწავლებლის ხელმძღვანელობით); შესწავლილი ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა თავისი სიტყვებით; შთაბეჭდილებათა გადმოცემა; სურათის აღწერა; ლექსის ზეპირად დაწერა; კარნახი—სმენითი, მხედველობითი სიტყვაგამოტოვებული წინადადებების გადაწერა დაფიდან და შევსება; პუნქტუაციური ხასიათის სავარჯიშოები (მძიმის, ორწერტილისა და სხვ. ხმარება) და სხვ.

მე-4 კლასში: შესწავლილი ნაწარმოების ან მისი ნაწილების შინაარსის გადმოცემა; შთაბეჭდილებათა წერილობით გადმოცემა; სურათის აღწერა; პატარა მოცულობის დეფორმირებული ტექსტის აღდგენა (წინასწარი ანალიზის შემდეგ); ლექსის ზეპირად დაწერა; კარნახი—სმენითი, მხედველობითი; პუნქტუაციური ხასიათის სავარჯიშოები (სასვენი ნიშნების თავ-თავის ადგილას ხმარება); წერილის დაწერა კედლის გაზეთისათვის და სხვ.

სასწავლო-სავარჯიშო ხასიათის, თუ საკონტროლო საკარნახო ტექსტის მოცულობა I—IV კლასებში მიახლოებით შემდეგნაირად განისაზღვრება:

I კლასი 8—10 სიტყვა სასწავლო წლის I ნახევრის ბოლოსათვის და 12—16 სიტყვა სასწავლო წლის ბოლოსათვის;

II კლასი—20—25 სიტყვა;

III კლასი—30—40 სიტყვა;

IV კლასი—50—60 სიტყვა;

კავშირი, ცალკე მდგომი თანდებული და ნაწილაკი საკარნახო ტექსტში ცალკე სიტყვად ითვლება.

## 2. V—VIII კლასები

ამ კლასებში წერითი მუშაობის ძირითადი სახეებია:

შესწავლილი ნაწარმოების მარტივი (V—VI კლასში) და რთული (VII—VIII კლასებში) გეგმის შედგენა; კითხვებზე პასუხის გაცემა; შესწავლილი ნაწარმოების ვრცელი და მოკლე შინაარსის გადმოცემა; ნაწარმოებიდან აღებული ეპიზოდის ვრცელი და მოკლე შინაარსის გადმოცემა; ნაწარმოებიდან აღებული ეპიზოდის

ვრცელი შინაარსის გადმოცემა ავტორის ლექსიკის გამოყენებით (წინასწარ შედგენილი გეგმის ან გეგმის წინასწარ შეუდგენლად); ნაწარმოების მოქმედ პირთა თავგადასავლის გადმოცემა; ციტატების ამოწერა (მასალის ამოკრეფა პეიზაჟის, პერსონაჟთა და სხვათა შესახებ); ნაწარმოების მოქმედ პირთა დახასიათება (VII კლასში—წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, მარტივი სახით; VIII კლასში შედარებით უფრო რთული სახით); VIII კლასში ნაწარმოების გარჩევა მარტივად;

შემოქმედებითი ხასიათის თხზულებანი—შთაბეჭდილებანი, სურათების აღწერა (პატარა მოთხრობის შედგენა), საქმის ქაღალდების შედგენა, კარნახი (სმენითი, გამოკრებითი, შემოქმედებითი).

გრამატიკული ხასიათის სავარჯიშოები.

მუშაობის ეს ორი სახე—შემოქმედებითი ხასიათის თხზულებანი და გრამატიკული სავარჯიშოები შეიძლება განმეორებულ იქნეს სხვადასხვა კლასში, მაგრამ, ცხადია, უფროს კლასებში (VII—VIII) მუშაობა ჩატარდება შედარებით ძნელ მასალაზე და უფრო რთული ფორმით, ვიდრე V—VI კლასებში.

საკონტროლო თუ სასწავლო-სავარჯიშო ხასიათის საკარნახო ტექსტის მოცულობა V—VIII კლასებისათვის მიახლოებით შემდეგნაირად განისაზღვრება:

V კლასი—70—80 სიტყვა;
VI კლასი—90—110 სიტყვა;
VII კლასი—110—130 სიტყვა;
VIII კლასი—130 - 150 სიტყვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაწარმოების შინაარსის გადმოცემას, მოქმედი პირის თავგადასავლისა და დახასიათების წერას.

შინაარსის გადმოცემისათვის გათვალისწინებული ტექსტი გამართული უნდა იყოს იდეურ-პოლიტიკურად და აღმზრდელობითი თვალსაზრისით; ტექსტის შინაარსი გასაგები უნდა იყოს მოსწავლეთათვის.

შინაარსის გადმოსაცემად V კლასში უნდა შეირჩეს პატარა სიუჟეტიანი მოთხრობები ან ეპიზოდები მხატვრული ნაწარმოებებიდან.

VI კლასში ამას ემატება მოთხრობათა ნაწყვეტები უფრო გაშლილი აღწერით და მოქმედ პირთა თავგადასავლი.

სკოლაში, ჩვეულებრივ, შესწავლილი ნაწარმოებებისა და წაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოცემა წარმოებს. იგი გულისხმობს შესწავლილი ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსისა და ეპიზოდების გადმოცემას, მოქმედ პირთა პორტრეტებსა და თავ-

გადასავალს (V—VI კლ.), დახასიათებას (VII—VIII კლ.). ამ სამუშაოთათვის ტექსტს არ სჭირდება გაკვეთილზე წინასწარ წაკითხვა. უცნობ ტექსტს კი მასწავლებელი წერის დაწყების წინ, როგორც წესი, ორჯერ კითხულობს და ამის საფუძველზე ხდება შინაარსის გადმოცემა.

წერითი მუშაობის ეს სახეები გამოიყენება როგორც საკონტროლოდ, ისე სასწავლო მიზნით საკლასო-სავარჯიშო და საშინაო წერითი მუშაობისათვის.

შინაარსის ვრცლად გადმოცემისას უნდა ავიღოთ ნაწარმოების დამთავრებული ნაწყვეტი ან მცირე მოცულობის მთლიანი ტექსტი, რომელიც იქნება სიუჟეტურად ნათელი, ენობრივად სწორი და შინაარსობრივად საინტერესო. ტექსტი, რომლის შინაარსის დაწვრილებით გადმოცემას მოვითხოვთ, არ უნდა იყოს დიდი მოცულობისა—V—VI კლასებში იგი შეიძლება იყოს ერთი გვერდი, VII—VIII კლასებში—გვერდ-ნახევარი, ორი გვერდი.

დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ ლექსის შინაარსის გადმოცემას. ლირიკული ლექსის შინაარსის გადმოცემა არ არის რეკომენდებული; დასაშვებია სიუჟეტიანი ლექსების (იგავი, ბალადა, პოემის ნაწყვეტი და სხვ.) შინაარსის გადმოცემა სათანადო ციტატების გამოყენებით.

თხზულებად ითვლება მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნაშრომი თავისუფალი თემებისა და ლიტერატურულ ნაწარმოებთა მიხედვით, რომელშიც მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ დამოუკიდებელ აზრს, შეხედულებას ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის შესახებ.

თხზულებაზე მუშაობა მარტივი სახით III—IV კლასებშიც წარმოებს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მას V კლასიდან. უფროს კლასებში სხვადასხვა სახის თხზულებათა წერა წერითი მუშაობის ძირითად სახედ ითვლება.

V კლასში მოსწავლეებს თხზულებისათვის ეძლევათ ისეთი თემა, რომელიც მათს პირადს დაკვირვებასა და პრაქტიკას ეყრდნობა (შემთხვევები ცხოვრებიდან, შთაბეჭდილებანი ექსკურსიებისა და საყოფაცხოვრებო საკითხებზე), აგრეთვე—თემები, რომლებშიც მოცემულია ცალკეული საგნებისა და ბუნების მოვლენების ელემენტარული აღწერა.

VI კლასში ზემოაღნიშნულ თემებს ემატება ბუნების სურათების, რაიმე ღირსშესანიშნავი ადგილის, შრომითი პროცესებისა (შრომა კოლმეურნეობაში, ქარხანაში, სტამბაში და ა. შ.) და სხვათა აღწერა;

VII—VIII კლასებში—ნარკვევის ხასიათის ნაშრომები (ჩვენი ქალაქი, ჩვენი კოლმეურნეობა და ა. შ.); მოქმედი პირის დახასიათება, ლიტერატურული ნაწარმოების გარჩევა (მარტივად); პირადი შთაბეჭდილების გადმოცემა იმ მასალის მიხედვით, რომელიც აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებიდან („ჩემი საყვარელი წიგნი“, „შემთხვევა აგარაკზე“ და ა. შ.).

### 3. IX—XI კლასები

ამ კლასებში მოსწავლეებს თხზულებისათვის უფრო რთული თემები უნდა მიეცეთ. რასაკვირველია, შესაბამისად გაიზრდება მათი მოცულობაც.

სავარაუდოდ თხზულება შეიძლება შესრულდეს შემდეგი მოცულობით:

V—VI კლასები—1—1½ გვერდი;

VII—VIII კლასები 2—3 გვერდი;

IX—X კლასებში 3—5 გვერდი;

XI კლასში 5—7 გვერდი;

IX—XI კლასებში მიზანშეწონილია მოსწავლეებს საწერად შემდეგი ძირითადი თემები მიეცეთ.

IX კლასში:

1. მხატვრული ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა;
2. მოქმედ პირთა თავგადასავალი;
3. მოქმედი პირის (ინდივიდუალური, ჯგუფური ან შედარებითი) დახასიათება (მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის დახასიათება, ქალთა ტიპები „ვეფხისტყაოსანში“, ავთანდილისა და ტარიელის შედარებითი დახასიათება).
4. ნაწარმოების გარჩევა.

X—XI კლასებში თანმიმდევრულად რთულდება თემები, მოსწავლეთა ნაშრომებსაც მეტი დამოუკიდებლობა მოეთხოვება.

ამ კლასებში თხზულებისათვის მოსწავლეებს მოეთხოვებათ არა მარტო ცალკეულ ნაწარმოებთა განხილვა, არამედ მწერლის მთლიანი შემოქმედების ან მისი შემოქმედების ამა თუ იმ პერიოდის დახასიათება (ი. ჭავჭავაძის „განდეგილის“ გარჩევა. სოციალური მოტივი ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ა. წერეთლის პატრიოტული ლირიკა, გლეხთა ტიპები ე. ნინოშვილის შემოქმედებში, ი. ევდოშვილის შემოქმედება, გ. ტაბიძის შემოქმედება საბჭოთა პერიოდში).

X—XI კლასებში შეიძლება მიეცეთ აგრეთვე ლიტერატურუ-

ლი და ლიტერატურულ-შემოქმედებითი ხასიათის (თავისუფალი) თემები.

თხზულებანი მოსწავლეებს დასაწერად ეძლევათ არა მარტო თემის დასასრულს (საკონტროლოდ), არამედ თემის დამუშავების პროცესშიც (სასწავლო მიზნით).

## 4. საკლასო და საშინაო წერითი ხამუშაოები

საკლასო წერითი მუშაობის უმთავრესი მიზანია მოსწავლეთა შიერ ერთ ან რამდენიმე გაკვეთილზე მიღებული ცოდნა ჩვევის განმტკიცება; საკლასო წერითი მუშაობა ტარდება კლასში უშუალოდ მასწავლებლის ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით. საშინაო წერით სამუშაოებს კი მოსწავლეები ასრულებენ შინ დამოუკიდებლად. მიუხედავად ამისა საშინაო წერითი მუშაობა წინასწარ მოფიქრებული გეგმით ტარდება და მიზნად ისახავს საპროგრამო მასალის მტკიცედ და შეგნებულად შეთვისებას, გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცებასა და მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევის მტკიცედ დანერგვას.

I კლასის მოსწავლეებს სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან უნდა ეძლეოდეთ საშინაო წერითი სამუშაო შერჩევით ამ წერილის 1 მუხლში ჩამოთვლილი სახეების მიხედვით.

II—IV კლასებში საშინაო წერით დავალებად უნდა მიეცეს კლასში საფუძვლიანად დამუშავებული მასალა.

V—VIII და IX—XI კლასებში საშინაო წერითი დავალება შესაბამისად რთულდება. ამ კლასების მოსწავლეებს მასწავლებელმა უნდა გაუწიოს დახმარება და კონსულტაცია საშინაო წერითი სამუშაოს შესრულებაში.

დაუშვებელია მოსწავლეთა მეტისმეტად დატვირთვა საშინაო წერითი სამუშაოებით. საშინაო წერითი მუშაობის რაოდენობა საორიენტაციოდ შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს:

I, II, III და IV კლასებში—კვირაში სამჯერ (I კლასში—სასწავლო წლის II ნახევრიდან); V—VIII კლასებში—ორ კვირაში ერთხელ, იგულისხმება მხოლოდ ლიტერატურული კითხვის მასალა; კონკრეტული სახის გრამატიკული სავარჯიშოები კი, როგორც წესი, მოსწავლეებს ეძლევათ სისტემატურად, ენის ყოველ გაკვეთილზე.

IX—X—XI კლასების მოსწავლეებს წლის განმავლობაში უნდა მიეცეთ 7—8 საშინაო წერითი სამუშაო ლიტერატურაში.

საშინაო წერითი ნამუშევრები რეგულარულად უნდა გასწორ-

დეს, გაანალიზდეს მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები და დროულად ჩატარდეს სათანადო ვარჯიშობა შეცდომების გასასწორებლად.

საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოების სისტემატურად შესრულებაზე უნდა დაწესდეს მტკიცე კონტროლი; მასწავლებელი კლასში ჩამოვლით სისტემატურად ამოწმებს მათ შესრულებას, მოსწავლეთა ზეპირი გამოკითხვის პროცესში გულდასმით სინჯავს გამოძახებული მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევრის ხარისხს და მხედველობაში იღებს მას ცოდნის შეფასებისას. (იმ შემთხვევაში, როცა კლასს მიცემული აქვს ერთგვარი სახის საშინაო დავალება, სასურველია, მასწავლებელმა შეარჩიოს ერთ-ერთი ნამუშევარი და გააანალიზოს იგი გაკვეთილზე) გარდა ამისა, მასწავლებელმა პერიოდულად უნდა შეკრიბოს საშინაო წერითი ნამუშევრები, გასინჯოს ისინი და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისას მეოთხედის ბოლოს მხედველობაში მიიღოს მათი რაოდენობა და შესრულების ხარისხი.

## 5. საკონტროლო წერა და წერითი ნამუშევრების შეფასება

I, II და III კლასებში საკონტროლო წერა არ ტარდება. მოსწავლის ცოდნის შეფასება წარმოებს სუფთა წერისა და საკლასო წერითი ნამუშევრების მიმდინარე (სისტემატური) შემოწმება-შეფასების საფუძველზე.

I კლასში წერა ყოველდღიურად ტარდება (გარდა ამისა, კვირაში ერთჯერ ტარდება სუფთა წერა სასწავლო წლის II ნახევრიდან).

II კლასში საკლასო წერითი მუშაობა ტარდება კვირაში 3-ჯერ, III კლასში—კვირაში 2-ჯერ (იმ დღეებში, როდესაც გათვალისწინებული არაა სუფთა წერის ჩატარება).

I—II და III კლასებში სუფთა წერისა და საკლასო წერითი ნამუშევრების მიმდინარე შეფასების ნიშნები საკლასო ჟურნალში არ იწერება.

საკონტროლო წერითი მუშაობა ტარდება:

IV კლასში—კვირაში ერთხელ;

V—VI კლასებში—10 დღეში ერთხელ;

VII—VIII კლასებში—თვეში ორჯერ;

IX—X და XI კლასებში—თვეში ერთხელ;

საკონტროლო წერითი მუშაობის ჩატარებას წინ უნდა უსწრებდეს სასწავლო ხასიათის საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოები.

შენიშვნა: თემა, რომელიც მოსწავლეებს შესრულებული აქვთ საკლასო თუ საშინაო წერით სამუშაოდ, არ შეიძლება მოეცეთ საკონტროლო წერისათვის. საკონტროლო წერით სამუშაოს მოსწავლეები ასრულებენ დამოუკიდებლად (მასწავლებლის დახმარების გარეშე).

მასწავლებელი საკონტროლო წერით ნამუშევრებს ასწორებს წერის ჩატარებიდან არა უგვიანეს 3 დღისა, აფასებს მათ და ნიშნები შეაქვს საკლასო ჟურნალში.

მორიგი საკონტროლო წერის ჩატარებამდე, ერთ-ერთ გაკვეთილზე, გარკვეული დრო უნდა დაეთმოს მოსწავლეთათვის შეფასების ნიშნების გაცნობისა და დაშვებულ შეცდომათა გასწორებაზე ვარჯიშობას.

იმ მიზნით, რომ საკონტროლო წერითი მუშაობა სხვადასხვა საგანში ერთიმეორეს არ დაემთხვეს (რაც იწვევს მოსწავლეთა გადატვირთვას და ხელს უშლის წერითი სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულებას), აუცილებელია, სკოლაში ყოველი მეოთხედისათვის წინასწარ შედგეს საკონტროლო წერითი სამუშაოების ჩატარების განრიგი, რასაც განიხილავს და დაამტკიცებს სკოლის დირექცია.

### 6. რვეულები წერისათვის

I, II და III კლასებში მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ 3 რვეული:

ა) საკლასო წერითი მუშაობისათვის;

ბ) სუფთა წერისათვის;

გ) საშინაო წერითი მუშაობისათვის.

შენიშვნა: I, II და III კლასებში საკლასო წერითი მუშაობისათვის განკუთვნილ რვეულში, რომელიც მასწავლებელთან ინახება, მოსწავლეები დამოუკიდებლად ასრულებენ წერით სამუშაოებს, მასწავლებელი ასწორებს ნამუშევრებს და აფასებს მათ სათანადო ნიშნით. ამავე რვეულში წარმოებს შეცდომების გასწორება.

IV—IX—X—XI კლასებში მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ორ-ორი რვეული—ერთი საშინაო-საკლასო და მეორე საკონტროლო წერითი მუშაობისათვის;

V—VIII კლასებში მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ სამ-სამი რვეული—ერთი საკონტროლო წერისათვის (ამ რვეულში სრულდება საკონტროლო წერითი სამუშაოები როგორც ენაში, ისე ლიტერატურაში), მეორე—საკლასო-საშინაო წერითი მუშაობისათვის ენაში

და მესამე—საკლასო-საშინაო წერითი მუშაობისათვის ლიტერატურაში.

საკლასო-საშინაო წერითი მუშაობისათვის განკუთვნილი რვეული ნავარაუდევია საშინაო წერითი სამუშაოების, კლასის მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებული სავარჯიშოების, უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა-განმარტებისა და სხვა ამგვარი ხასიათის სასწავლო ჩანაწერებისათვის.

საშინაო წერითი სამუშაოები V—XI კლასებში სასურველია შესრულდეს საერთო რვეულში.

საკონტროლო წერითი მუშაობისათვის განკუთვნილ რვეულებშივე წარმოებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომათა გასწორება (ვარჯიშობა).

საკლასო და საკონტროლო წერითი მუშაობის ხანგრძლიობა განისაზღვრება:

I კლასში 10—15 წუთით;
II „ 15—20 „
III „ 20—25 „
IV „ 25—30 „
V—VIII კლასებში 45 წუთით;
IX—X და XI კლასებში 45—90 წუთით.

### 7. წერითი ნამუშევრების გასწორება

წერითი ნამუშევრების შეფასება წარმოებს ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემით 5, 4, 3, 2, 1, შეფასების კრიტერიუმია ნაწერის ობიექტური ანალიზი, ის მოთხოვნა, რომელსაც ოფიციალური პროგრამა აწესებს კლასების მიხედვით და ნაწერის გასწორების შედეგად მიღებული საერთო შთაბეჭდილება. მასწავლებელი კარგად უნდა იყოს დახელოვნებული ნაწერის გასწორებაში და საფუძვლიანად იცნობდეს ცოდნა-ჩვევათა იმ მოცულობას და მოთხოვნებს, რომელნიც პროგრამით დადგენილია თითოეული კლასის წერითი სამუშაოს ამა თუ იმ სახისათვის, კარნახისათვის—ცალკე, შინაარსის გადმოცემისათვის—ცალკე და ა. შ. ნაშრომის გასწორების დროს შეცდომად ითვლება ყოველგვარი გადახვევა წესისაგან. მასწავლებელი ყველა შეცდომას ასწორებს მოსწავლეთა ნაშრომში, მაგრამ შეფასებისას ითვალისწინებს შეცდომებს მხოლოდ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მოსწავლეებს უკვე შესწავლილი აქვთ.

გასწორდება, მაგრამ შეფასებაზე გავლენას არ ახდენს:

ა) უნებლიე შეცდომები (მაგალითად, თუ სიტყვა ერთ ადგილზე შეცდომითაა დაწერილი, სხვა ადგილებზე—სწორად);

ბ) სიტყვის მართლწერაში დაშვებული შეცდომების განმეორება (ორი ან რამდენიმე ერთნაირი სიტყვის დაწერაში დაშვებული შეცდომები ერთ შეცდომად ითვლება).

შესაძლებელია ამავე ჯგუფში მოთავსდეს შეცდომები, რომლებიც გამოწვეულია იმ წესების დარღვევით, რომელთა შესწავლა მოსწავლეებს არ აქვთ დამთავრებული და ძნელად ასათვისებელი სიტყვების წერა, თუ ეს სიტყვები მასწავლებლის მიერ წინასწარ არ იქნა დაფაზე დაწერილი.

ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები აღირიცხება ცალ-ცალკე, ამასთან შეცდომები სიტყვათა გადატანის წესებში ორთოგრაფიულ შეცდომად ითვლება.

არ შეიძლება მაღალი ნიშნით შევაფასოთ ნაშრომი, რომელშიც სიტყვები და ასოები გაურკვევლად არის დაწერილი. მაღალი ნიშნით არ შეფასდება აგრეთვე ისეთი ნაშრომი, რომელშიც ბევრი გადახაზული ან ჩასწორებული ადგილია, რაც ადასტურებს იმას, რომ მოსწავლეს არა აქვს მყარი ცოდნა-ჩვევები ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

წერითი სამუშაო უნდა სრულდებოდეს დამოუკიდებლად. ნამუშევარი, რომელიც გადაწერილი იქნება, შეფასდება ნიშნით—1 (ძლიერ ცუდი).

შეფასდება როგორც საკონტროლო, ისე სასწავლო ხასიათის წერითი ნამუშევრები (საკონტროლო წერა I—IV კლასებიდან მხოლოდ IV კლასში ტარდება).

I, II და III კლასებში ტარდება სუფთა წერა. სუფთა წერას ცალკეული კლასების მიხედვით თავისი პროგრამული მიზნები აქვს. ამიტომ სუფთა წერა ცალკე შეფასდება. ასევე ცალკე შეფასდება კარნახი, შინაარსის გადმოცემა და თხზულება. შეფასდება ყველა სახის (გადაწერა, კითხვაზე პასუხის გაცემა, დეფორმირებული ტექსტის აღდგენა, თავგადასავალი და სხვ.) წერითი ნამუშევარი.

## შეფასების ნორმები

### დაწყებითი კლასები

### სუფთა წერა

### I კლასი

(სასწავლო წლის II ნახევრიდან)

ნიშანი 5 (ფრიადი) იწერება მაშინ, როცა ზუსტადაა დაცული ასოთა დაწერილობა: სიმრგვალე, სიმეტრიულობა, ასოთა და სიტყვათა შორის სათანადო შუალედები.

ნიშანი 4 (კარგი) იწერება, როცა ნაწერი აკმაყოფილებს 5-ით შეფასებისათვის გათვალისწინებულ ყველა პირობას, ხოლო ერთ-ორ შემთხვევაში დარღვეულია ასოთა დაწერილობა, ან არაა დაცული შუალედები.

ბიბლიოთეკა

ნიშანი 3 (დამაკმაყოფილებელი) იწერება, როცა ხელი ძირითადად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ გვხვდება ასოთა არასწორად დაწერის (გაგანიერებულია, გადახრილია მარჯვნივ ან მარცხნივ და სხვა) სამი-ხუთი შემთხვევა.

ნიშანი 2 (ცუდი) იწერება, როცა ასოები არამართებულადაა დაწერილი: ხაზქვევით დასაწერი ხაზზევითაა ან ხაზზევით დასაწერი ხაზქვევითაა, არაა დაცული სათანადო პროპორცია ასოთა ნაწილებს შორის, ხელი უსუფთაოა.

ნიშანი 1 (ძლიერ ცუდი) იწერება, როცა დარღვეულია ასოთა დაწერილობის ელემენტარული წესები და ნამუშევარი ძლიერ უსუფთაოა.

## II კლასი

ნიშანი 5 (ფრიადი) იწერება მაშინ, როცა ნაწერში მაქსიმალურად დაცულია როგორც ასოთა დაწერილობის ისე მათი გადაბმის წესები.

ნიშანი 4 (კარგი) იწერება, როცა ნაშრომი აკმაყოფილებს 5-ით შეფასებისათვის გათვალისწინებულ პირობებს, მაგრამ გვხვდება ასოს არამართებულად დაწერის ან ასოთა გადაბმის წესის დარღვევის ერთი-ორი შემთხვევა.

ნიშანი 3 (დამაკმაყოფილებელი) იწერება, როცა ხელი ძირითადად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ გვხვდება ასოთა დაწერილობისა და გადაბმის წესთა დარღვევის სამი-ხუთი შემთხვევა.

ნიშანი 2 (ცუდი) იწერება, როცა ხშირადაა დარღვეული ასოთა გადაბმის წესი; მათი დიდი ნაწილი არამართებულადაა დაწერილი.

ნიშანი 1 (ძლიერ ცუდი) იწერება მაშინ, როცა ასოები არამართებულადაა დაწერილი, გადაბმის წესები დარღვეულია; ნაწერი უსუფთაოა.

## III კლასი

ნიშანი 5 (ფრიადი) იწერება, როცა ხელი II კლასთან შედარებით განვითარებულია, ასოთა გადაბმა კარგადაა შესრულებული, ნამუშევარი სუფთაა.

ნიშანი 4 (კარგი) იწერება, როცა ნამუშევარი აკმაყოფილებს 5-ით შეფასებისათვის გათვალისწინებულ ყველა პირობას, მაგრამ გვხვდება ასოთა არამართებულად დაწერის ან გადაბმის ერთი-ორი შემთხვევა. ნამუშევარი სუფთაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშანი 3 (დამაკმაყოფილებელი) იწერება, როცა ხელი ძირითადად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ გვხვდება ასოთა არამართებულად დაწერის ან გადაბმის სამი-ხუთი შემთხვევა.

ნიშანი 2 (ცუდი) იწერება, როცა ხშირადაა დარღვეული ასოთა დაწერილობისა და გადაბმის წესები; ხელს განვითარება არ ეტყობა (მე-2 კლასთან შედარებით).

ნიშანი 1 (ძლიერ ცუდი) იწერება, როცა დარღვეულია როგორც ასოთა დაწერილობის, ისე გადაბმის ელემენტარული წესები. ნაწერი უსუფთაოა.

## კარნახი და გადაწერა

### I კლასი

(სასწავლო წლის II ნახევრიდან)

ნიშანი 5 (ფრიადი) იწერება, როცა ნამუშევარში არ გვხვდება არც ერთი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა; ხელი ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელია.

ნიშანი 4 (კარგი) იწერება, როცა ნამუშევარში არის 1—2 ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა; ხელი ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელია.

ნიშანი 3 (დამაკმაყოფილებელი) იწერება, როცა არის სამიოთხი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა; ხელი საერთოდ დამაკმაყოფილებელია ან გვხვდება ძნელად დასაწერი ასოს ცუდად დაწერის ერთი-ორი შემთხვევა.

ნიშანი 2 (ცუდი) იწერება, როცა ნამუშევარში არის 5—6 ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა; ხელი ცუდია.

ნიშანი 1 (ძლიერ ცუდი) იწერება, როცა დაშვებულია 6-ზე მეტი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა; ხელი ცუდია.

### II კლასი

ნიშანი 5 (ფრიადი) იწერება, როცა ნამუშევარში არ გვხვდება არც ერთი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა; ხელი ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელია.

ნიშანი 4 (კარგი) იწერება, როცა ნამუშევარში არის ერთი-

ორი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა; ხელი ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელია.

ნიშანი 3 (დამაკმაყოფილებელი) იწერება, როცა არის სამი—ხუთი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა; ხელი საშუალოდ დამაკმაყოფილებელია.

ნიშანი 2 (ცუდი) იწერება, როცა არის 5—6 ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა; ხელი ცუდია.

ნიშანი 1 (ძლიერ ცუდი) იწერება, როცა არის 6 ზე მეტი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა; ხელი ცუდია.

### III—IV კლასები

ნიშანი 5 (ფრიადი) იწერება, როცა ნამუშევარში არაა არც ერთი ორთოგრაფიული ან პუნქტუაციური შეცდომა, ხელი ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელია.

ნიშანი 4 (კარგი) გადაწერაში იწერება, როცა დაშვებულია ერთი შეცდომა; კარნახში კი,—როცა დაშვებულია არა უმეტეს ორი ორთოგრაფიული და ორი პუნქტუაციური ან ერთი ორთოგრაფიული და სამი პუნქტუაციური შეცდომა.

ნიშანი 3 (დამაკმაყოფილებელი) გადაწერაში იწერება, როცა დაშვებულია ორი შეცდომა, კარნახში კი,— როცა დაშვებულია არა უმეტეს ხუთი ორთოგრაფიული და სამი პუნქტუაკიური, ან ოთხი ორთოგრაფიული და ოთხი პუნქტუაციური შეცდომისა.

ნიშანი 2 (ცუდი) გადაწერაში იწერება, როცა დაშვებულია სამი შეცდომა, კარნახში კი—როცა დაშვებულია ხუთზე მეტი ორთოგრაფიული და ხუთზე მეტი პუნქტუაციური შეცდომა.

ნიშანი 1 (ძლიერ ცუდი) იწერება, როცა ნაშრომში დაშვებულია ნიშნისათვის 2 (ცუდი) გათვალისწინებულზე მეტი შეცდომა.

## შინაარსის გადმოცემა და თხზულება

### III—IV კლასები

ნიშანი 5 (ფრიადი) იწერება, როცა ნამუშევარში ფაქტობრივი მასალა სწორად, შეკუმშულადაა გადმოცემული, აზრები თანმიმდევრობითაა დალაგებული, ლექსიკონი მდიდარია და სტილი გამართულია; არ არის არც ერთი სტილისტიკური, ორთოგრაფიული შეცდომა და არ არის არაუმეტეს 1 პუნქტუაციური შეცდომისა.

ნიშანი 4 (კარგი) იწერება, როცა ნამუშევარში ფაქტობრივი

მასალა სრულად და ლოგიკური თანმიმდევრობითაა გადმოცემული, მაგრამ არის ერთი-ორი სტილისტიკური ან ორი ორთოგრაფიული და ორი პუნქტუაციური შეცდომა; ხელი ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშანი 3 (დამაკმაყოფილებელი) იწერება, როცა ფაქტობრივი მასალა ძირითადად მართებულადაა გადმოცემული, მაგრამ ლექსიკონი ღარიბია, გვხვდება ერთი-ორი ფაქტობრივი და ორი-სამი სტილისტიკური შეცდომა, ანდა არაუმეტეს ექვსი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომისა; ხელი დამაკმაყოფილებელია.

ნიშანი 2 (ცუდი) იწერება, როცა ნამუშევარში ფაქტობრივი მასალა დამახინჯებულადაა გადმოცემული, გამოტოვებულია მთავარი საკითხები, არის დაშვებული რამდენიმე სტილისტიკური, ან 7-ზე მეტი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა.

ნიშანი 1 (ძლიერ ცუდი) იწერება, როცა ნამუშევარში ფაქტობრივი მასალის ცოდნა არ ვლინდება, სიტყვები და წინადადებები არამართებულადაა დალაგებული, ლექსიკონი ღარიბია; დაშვებულია იმაზე მეტი შეცდომები, რაც 2 (ცუდი) ნიშნისათვის არის გათვალისწინებული.

## V—VIII კლასები

### კარნახი

ნიშანი 5 (ფრიადი) იწერება, როცა ნაშრომში არაა არც ერთი ორთოგრაფიული ან პუნქტუაციური შეცდომა

ნიშანი 4 (კარგი) იწერება, როცა ნაშრომში დაშვებულია 2 ორთოგრაფიული და 2 პუნქტუაციური შეცდომა.

ნიშანი 3 (დამაკმაყოფილებელი) იწერება, როცა ნაშრომში დაშვებულია 4 ორთოგრაფიული და 4 პუნქტუაციური ან 3 ორთოგრაფიული და 4 პუნქტუაციური შეცდომა.

ნიშანი 2 (ცუდი) იწერება, როცა ნაშრომში დაშვებულია 8-დან 12-მდე შეცდომა, მაგრამ ორთოგრაფიული შეცდომა 7-ზე მეტი არაა.

ნიშანი 1 (ძლიერ ცუდი) იწერება, როცა ნაშრომში დაშვებულია 12-ზე მეტი ორთოფრაფიული და პუნქტუაციური, ან 7-ზე მეტი ორთოგრაფიული შეცდომა.

შენიშვნა: აღნიშნული ნორმები ეხება ჩვეულებრივ სმენით კარნახს. იმ შემთხვევაში, თუ კლასში ჩატარებულ იქნება კარნახი, გართულებული სხვადასხვა სავარჯიშოებით (მაგალითად, გრამატი-

კულ ფორმათა ამოწერა და ანალიზი და სხვა), ამგვარი ნამუშევრებისადმი მოთხოვნილებაც სათანადოდ შემცირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შინაარსის გადმოცემა

ამ სახის ნამუშევრის შეფასებისას გასათვალისწინებელია მოსწავლეთა მიერ ტექსტის შინაარსის მართებულად გაგება, ფაქტობრივი მასალის სწორად და სათანადო სისრულით გადმოცემა, ფაქტების გადმოცემა თანმიმდევრულად, ნაშრომის გრამატიკულ-სტილისტიკური მხარე (სიტყვათა მარაგი, მკაფიო მეტყველება, სინონიმებისა და ომონიმების მოხდენილად გამოყენება) ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომათა რაოდენობა და ხასიათი.

ნიშანი 5 (ფრიადი) იწერება, როცა ტექსტის შინაარსი სრულად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული; მოსწავლეს სწორად აქვს გაგებული ნაწარმოების ან ეპიზოდის შინაარსი; მოხდენილად აქვს შერჩეული სიტყვები და გამოთქმები; სწორად არის აგებული წინადადებები; მეტყველება მკაფიო, ზუსტი და ხატოვანია; დაშვებულია 1—2 ორთოგრაფიული ან პუნქტუაციური შეცდომა.

ნიშანი 4 (კარგი) იწერება, როცა სწორადაა აგებული ნაწარმოების შინაარსი, ძირითადი საკითხები უშეცდომოდ და ლოგიკური თანმიმდევრობითაა გადმოცემული, მეტყველება ზუსტია, მაგრამ არახატოვანი, დაშვებულია 2 სტილისტიკური ან ორი-სამი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ხასიათის შეცდომა.

ნიშანი 3 (დამაკმაყოფილებელი) იწერება, როცა ტექსტის შინაარსი ძირითადად სწორადაა გადმოცემული, მაგრამ გვხვდება ორი-სამი ფაქტობრივი და სტილისტიკური ან სამი-ოთხი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა.

ნიშანი 2 (ცუდი) იწერება, როცა ტექსტის შინაარსი არასრულადაა გადმოცემული; ფაქტების გადმოცემაში გვხვდება უხეში შეუსაბამობანი; მნიშვნელოვნადაა დარღვეული ფაქტების გადმოცემის თანმიმდევრობა; დაშვებულია 5—6 სტილისტიკური ან 8—10 ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა.

ნიშანი 1 (ძლიერ ცუდი) იწერება, როცა მოსწავლე ვერ ავლენს შინაარსის გადმოცემის უნარს; დაშვებულია 7-ზე მეტი ფაქტობრივი და სტილისტიკური ან 10 ზე მეტი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შინაარსის გადმოცემაში იწერება ერთი ნიშანი რომელიც აერთიანებს ნაწარმოების როგორც შინაარსობლივ, ისე ენობრივ მხარეს. იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომში კარგადაა გადმო-

ცემული ტექსტის შინაარსი და ამავე დროს გვხვდება სათანადო რაოდენობის ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები, მაშინ იგი არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად იქნეს შეფასებული, ან პირიქით, თუ კი ნაშრომი ენობრივად გამართულია, მაგრამ მასში სათანადოდ არ არის გადმოცემული ტექსტის შინაარსი, არც მაშინ შეიძლება მისი დამაკმაყოფილებელ ნიშანზე შეფასება.

## IX—XI კლასები

### თ ხ ზ უ ლ ე ბ ა

თხზულება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: თემა სწორად იქნეს გაგებული, შესრულდეს გარკვეული გეგმით, თხზულების ცალკეულ ნაწილებს შორის დაცულ იქნეს სათანადო პროპორცია, წინადადებები და ფრაზები ერთმანეთთან სწორად იყოს დაკავშირებული (გრამატიკულად და აზრობრივად) ყველა საკითხი აშუქებდეს თემის ძირითად მიზანდასახულობას (მეორეხარისხოვან საკითხებზე მსჯელობა არ ფარავდეს მთავარს); თხზულებაში ჩანდეს მასალისა, საერთოდ, და კერძოდ, ციტატების სწორად გამოყენებისა და ლიტერატურულ ტექსტებზე მუშაობის ჩვევა და უნარი; თემის განვითარება თანდათან ამზადებდეს ნიადაგს დასკვნისათვის; დასკვნა ლოგიკურად გამომდინარეობდეს თემის შინაარსიდან, ჩანდეს მოსწავლის კრიტიკული აზროვნება; სწორად იყოს გაგებული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურულ მოვლენათა ურთიერთობა; არ ექნეს ადგილი სახელმძღვანელოებიდან და კრიტიკული წერილებიდან ადგილების მექანიკურად გადმოღებას.

თხზულება უნდა შესრულდეს სუფთად, ენობრივ-სტილისტიკური შეცდომების გარეშე.

თხზულების შეფასებისათვის V—VIII კლასებში გამოიყენება იგივე ნორმები, რომლებიც მითითებულია შინაარსის გადმოცემისათვის. მაგრამ აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მოსწავლეები არ შემოიფარგლონ მხოლოდ ფაქტების აღნიშვნით, არამედ მარტივად გადმოგვცენ აგრეთვე თავიანთი აზრი ამ ფაქტების შესახებ.

IX—XI კლასებში თხზულების შეფასება შემდეგი ნორმების მიხედვით წარმოებს[1].

ნიშანი 5 (ფრიადი) იწერება, როცა მოსწავლე ამომწურავ პასუხს გვაძლევს თემაზე; ავლენს ლიტერატურული მასალის საუკეთესო ცოდნას, მოვლენებისა და ფაქტების შეფასების დროს იჩენს დამოუკიდებელი მსჯელობის უნარს, სწორად აქვს შერჩეული სიტ-

[1] IX კლასში შინაარსის გადმოცემისას მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები შეფასდება თხზულებათა შეფასების ნორმათა მიხედვით.

ყვები და მართებულია წინადადებათა კონსტრუქცია. არ არის არც ერთი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომა.

ნიშანი 4 (კარგი) იწერება, როცა მოსწავლე სწორად გადმოგვცემს თემას, იჩენს დამოუკიდებელი, თანმიმდევრული და საბუთიანი მსჯელობის უნარს, ნაშრომი დაწერილია გამართული სალიტერატურო ენით, დაშვებულია 1—2 სტილისტიკური, 2 ორთოგრაფიული და 2 პუნქტუაციური შეცდომა.

ნიშანი 3 (დამაკმაყოფილებელი) იწერება, როცა ნაშრომში ძირითადად სწორად, მაგრამ სქემატურადაა გადმოცემული თემის შინაარსი, რამდენადმე დარღვეულია საკითხთა თანმიმდევრობა, დაშვებულია სამი-ოთხი სტილისტიკური, 4 ორთოგრაფიული და 4 პუნქტუაციური შეცდომა.

ნიშანი 2 (ცუდი) იწერება, როცა ნაშრომში არადამაკმაყოფილებლადაა გადმოცემული თემის შინაარსი, დარღვეულია ლოგიკური თანმიმდევრობა, დაშვებულია ხუთი-ექვსი სტილისტიკური და 10-მდე ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური შეცდომა.

ნიშანი 1 (ძლიერ ცუდი) იწერება, როცა მოსწავლე თემის სრულ უცოდინარობას იჩენს, დარღვეულია თემის როგორც შინაარსობლივი მხარე, ისე ლოგიკური თანმიმდევრობა, დაშვებულია 7-ზე მეტი სტილისტიკური და 10-ზე მეტი ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური შეცდომა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. ისევე, როგორც შინაარსის გადმოცემისას, აქაც შეფასება საერთოა, მაგრამ არ შეიძლება ნაშრომი დამაკმაყოფილებლად შეფასდეს იმ შემთხვევაში, თუ მასში კარგად არის გადმოცემული შინაარსი, მაგრამ ბევრია ენობრივი შეცდომა ან, პირიქით, ნაშრომი ენობრივად გამართულია, მაგრამ შინაარსი მდარეა.

2. XI—XI კლასების მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელს უფლება ეძლევა არ დაუკლოს ნიშანი (მათ შორის ნიშანი „5"-ც) თუ თხზულებაში გამომჟღავნებულია მოსწავლის შემოქმედებითი ნიჭი და ორიგინალობა, მაგრამ არის 2—3 სტილისტიკური უზუსტობა და ერთი-ორი ორთოგრაფიული შეცდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 19 იანვრის № 43 ბრძანება

### რვაწლიანი და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებზე გასაცემი დოკუმენტების ახალი ნიმუშების შემოღების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1962 წლის 28 დეკემბრის № 870 დადგენილებით დაამტკიცა რვაწლიანი განათლების მოწმობის (დანართი 1), საშუალო განათლების ატესტატისა (დანართი 2) და კვალიფიკაციის მინიჭების მოწმობის (დანართი 3) ახალი ნიმუშები და ნება დართო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შემდგომში შეიტანოს სათანადო ცვლილებანი რვაწლიანი განათლების მოწმობასა და საშუალო განათლების ატესტატში სასწავლო გეგმების შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

1. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია):

ა) 1963 წელს პირველ კვარტალში უზრუნველყოს რვაწლიანი განათლების მოწმობის, საშუალო განათლების ატესტატისა და კვალიფიკაციის მინიჭების მოწმობის ბლანკების საჭირო რაოდენობით დამზადება ახალი ნიმუშების შესაბამისად;

ბ) დაიყვანოს განათლების განყოფილებებისა და რვაწლიან და საშუალო სკოლებამდე მითითებანი რვაწლიანი და საშუალო განათლების აღნიშნული დოკუმენტების შევსებისა და გაცემის წესების შესახებ (დანართი 4) და განახორციელოს კონტროლი ამ მითითებათა შესრულებაზე.

2. ნება დაერთოს სკოლების სამმართველოს მოწმობებისა და ატესტატების ძველი ნიმუშის დარჩენილი ბლანკების გარკვეული რაოდენობა დატოვოს დაკარგულის ნაცვლად დუბლიკატების გასაცემად, ხოლო დანარჩენი გაანადგუროს, რაც გაფორმდეს სათანადო აქტით.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვაწლიანი განათლების მოწმობის ნიმუში

## რვაწლიანი განათლების მოწმობა

მიეცა ეს მოწმობა ______________
(სახელი,
______________________________
მამის სახელი, გვარი)
დაბადებულს 19____ წელს მასზე, რომ
ის სწავლობდა ______________
(სკოლის სრული
______________________________
დასახელება და მისი ადგილმდებარეობა)
დაამთავრა 19_____ წელს რვა
კლასი ______________________
ყოფაქცევით და გამოიჩინა შემდეგი
წარმატება:
ქართულ ენაში ______________
ქართულ ლიტერატურაში __________
რუსულ ენაში ______________
რუსულ ლიტერატურაში __________
მშობლიურ ენაში (______) __________
მშობლიურ ლიტერატურაში
(____________) __________
არითმეტიკაში ______________
ალგებრაში ______________
გეომეტრიაში ______________
ისტორიასა და
სსრკ კონსტიტუციაში __________
გეოგრაფიაში ______________
ფიზიკაში ______________
ქიმიაში ______________
ბიოლოგიაში ______________
უცხო ენაში (______) __________
ხაზვაში ______________
სიმღერაში ______________
ხატვაში ______________
ფიზიკურ კულტურაში __________
შრომითს სწავლებაში __________

სკოლის დირექტორი
მასწავლებლები:

„_____“ ______________ 19 წელი

№ 000000

ბ. ა.

დანართი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## საშუალო განათლების ატესტატის ნიმუში

## ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲘ

მიეცა ეს ატესტ ტი ______________
(სახელი,

______________
მამის სახელი, გვარი)

დაბადებულს 19____ წელს ______________

მასზე, რომ მან 19____ წ. დაამთავრა

______________
(სკოლის სრული სახელწოდება და

______________
მისი ადგილმდებარეობა)

სრული კურსი წარჩინებული ყოფა-ქცევით და გამოიჩინა შემდეგი წარმატება:

ქართულ ენაში ______________

ქართულ ლიტერატურაში ______________

რუსულ ენაში ______________

რუსულ ლიტერატურაში ______________

მშობლიურ ენაში (______) ______________

მშობლიურ ლიტერატურაში ______________

ალგებრაში ______________

გეომეტრიაში ______________

ტრიგონომეტრიაში ______________

სსრკ ისტორიაში ______________

მსოფლიო ისტორიაში ______________

საზოგადოებათმცოდნეობაში ______________

ფიზიკაში ______________

ასტრონომიაში ______________

ქიმიაში ______________

ბიოლოგიაში ______________

გეოგრაფიაში ______________

უცხო ენაში (______) ______________

ხაზვაში ______________

ფიზიკურ კულტურაში ______________

წარმოების საფუძვლებში ______________

გარდა ამისა ______________
(სახელი, მამის

______________
სახელი, გვარი)

გაიარა საწარმოო სწავლება ______________

______________ სპეციალობით

სკოლის დირექტორი

სასწ. ნაწ. გამგე

მასწავლებლები:

გაცემულია

„____“______________ 19____ წ.

№ 000000

·ბ ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კვალიფიკაციის მინიჭების მოწმობის ნიმუში

## კვალიფიკაციის მინიჭების მოწმობა

მიეცა ეს მოწმობა ______________________
(სახელი,

______________________________________
მამის სახელი და გვარი)

დაბადებულს 19____ წელს მასზე, რომ ის სწავლობდა ______________________
(სკოლის სრული

______________________________________
დასახელება და ადგილმდებარეობა)

და 19____ წელს დაამთავრა პროფესიონალური სწავლების სრული კურსი ______________________
პროფესიით (სპეციალობით)

______________________________________

______________________________________
(წარმოების, მშენ., საბჭოთა მეურნეობების,

______________________________________
კოლმეურნეობების, ტრანსპ. და სხვა

______________________________________
ორგანიზაციის დასახელება)

საკვალიფიკაციო კომისიის 19— წლის „______" ______________ გადაწყვეტილებით ______________________

______________________________________
(ინიციალი და გვარი)

მიენიჭა ______________________
პროფესია

______________________________________
(სპეციალობით) თანრიგით

საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე

სკოლის დირექტორი

გაცემულია 19— წლის „______" ______________________

ბ. ა. № 000000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 4

# მითითებანი

## რვაწლიანი და საშუალო განათლების დოკუმენტების შევსებისა და გაცემის წესის შესახებ

1. რვაწლიანი განათლების მოწმობა უნდა მიეცეს რვაწლიანი სკოლისა და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის რვაკლასდამთავრებულ ყველა მოსწავლეს, მიუხედავად იმისა აგრძელებს იგი სწავლას, თუ იწყებს მუშაობას.

რვაწლიანი განათლების მოწმობები და საშუალო განათლების ატესტატები ეძლევათ რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულებს „რვაწლიანი და საშუალო სკოლების კურსზე გამოცდების ჩაბარების ინსტრუქციისა“ და „ექსტერნად გამოცდების ჩაბარების ინსტრუქციის“ შესაბამისად.

2. რვაკლასდამთავრებული მოსწავლის სახელი, მამის სახელი და გვარი მოწმობაში იწერება მთლიანად დაბადების მოწმობის ან პასპორტის საფუძველზე, ამავე დოკუმენტების საფუძველზე იწერება აგრეთვე რვაკლასდამთავრებულის მოწმობაში დაბადების წელი (დაბადების თვე და რიცხვი მოწმობაში არ იწერება).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის სახელი, მამის სახელი და გვარი, აგრეთვე დაბადების ადგილი, რიცხვი, თვე და წელი შეიტანება საშუალო განათლების ატესტატში მხოლოდ პასპორტის საფუძველზე (სახელი, მამის სახელი, დაბადების ადგილი და თვე იწერება მთლიანად).

3. რვაწლიანი განათლების მოწმობაში მთლიანად უნდა იქნეს ნაჩვენები: სკოლის ტიპი, სადაც მოსწავლემ დაამთავრა რვა კლასი (რვაწლიანი, საშუალო, ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი საშუალო, საღამოს (ცვლის), დაუსწრებელი) სკოლის ნომერი და მისი ადგილმდებარეობა (სოფელი, ქალაქის ტიპის დასახლება, ქალაქი, რაიონი, ოლქი, ასსრ), საშუალო სკოლის ატესტატშიც აგრეთვე მთლიანად უნდა იქნეს

ნაჩვენები სახელწოდება და ადგილმდებარეობა სკოლისა, რომელიც მოსწავლემ დაამთავრა.

4. რვაწლიანი განათლების მოწმობაში და საშუალო განათლების ატესტატში შეფასება თითოეულ სასწავლო საგანში იწერება ციფრით და ფრჩხილებში სიტყვით, მაგალითად: „არითმეტიკაში 5 (ფრიადი)“, „ლიტერატურაში 4 (კარგი)“, „ქიმიაში 3 (დამაკმაყოფილებელი)“.

5. რვაწლიანი განათლების მოწმობას ხელს აწერენ სკოლის დირექტორი და არა ნაკლებ მერვე კლასში მომუშავე სამი მასწავლებლისა. საშუალო განათლების ატესტატს ხელს აწერენ სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე და არა ნაკლებ სამი მასწავლებლისა, რომლებიც გამოსაშვებ კლასებში ატარებდნენ გამოცდებს.

რვაწლიანი განათლების მოწმობა და საშუალო განათლების ატესტატი მოწმდება დოკუმენტის გამცემი სკოლის გერბიანი ბეჭდით. რვაწლიანი განათლების მოწმობა და საშუალო განათლების ატესტატი ივსება ტუშით; ამ დოკუმენტში გრაფის გამოტოვება, ამოფხეკა და შესწორება დაუშვებელია. მოწმობაში და ატესტატში სკოლის გერბიანი ბეჭედი უნდა იყოს დადგენილი ნიმუშის, გარკვეულად და ადვილად ამოსაკითხი.

მე-2—5 მუხლებში ჩამოთვლილი მოთხოვნილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში რვაწლიანი განათლების მოწმობა და საშუალო განათლების ატესტატი ითვლება არაკანონიერად.

6. ათკლასდამთავრებულთა საშუალო განათლების ატესტატში იმ სასწავლო საგნების გასწვრივ, რომლებიც არ ისწავლებოდა, შეფასების ნაცვლად გაესმება ხაზი.

7. მოსწავლეებს, რომლებიც საწარმოოსწავლებიან საშუალო სკოლას ამთავრებენ, საშუალო განათლების ატესტატთან ერთად ეძლევათ კვალიფიკაციის მინიჭების მოწმობა.

8. მოსწავლეებზე გასაცემი რვაწლიანი განათლების მოწმობები, საშუალო განათლების ატესტატები და კვალიფიკაციის მინიჭების მოწმობები უნდა გატარდეს სპეციალურ ჟურნალში, რომლებსაც სკოლები მიიღებენ სასწავლო წლის დამთავრებამდე.

9. რვაწლიანი განათლების მოწმობის, საშუალო განათლების ატესტატის და კვალიფიკაციის მინიჭების მოწმობის შევსების დროს შეცდომის დაშვებისა ან რაიმე მიზეზით ბლანკის გაფუჭების შემთხვევაში სკოლა ადგენს სათანადო აქტს და რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების შუამდგომლობასთან ერთად განათლების სამინისტროში წარმოადგენს გასაუქმებელ ატესტატსა და აქტს სამაგიერო ბლანკის მისაღებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ

## МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## № 43

19 января 1963 г.

**О введении новых образцов документов, выдаваемых окончившим восьмилетние и средние общеобразовательные школы**

Совет Министров Грузинской ССР постановлением от 28 декабря 1962 года за № 780 утвердил образцы свидетельства о восьмилетнем образовании (приложение 1), аттестата о среднем образовании (приложение 2) и свидетельства о присвоении квалификации (приложение 3), а также предоставил право Министерству просвещения Грузинской ССР вносить изменения в перечень учебных предметов в свидетельстве о восьмилетнем образовании и аттестате о среднем образовании в соответствии с изменениями учебных планов школ.

В связи с этим приказываю:

1. Управлению школ (тов. Джавахия Д.):

а) в I квартале 1963 года обеспечить изготовление потребного количества бланков свидетельств о восьмилетнем образовании, аттестатов о среднем образовании и свидетельств о присвоении квалификации в соответствии с образцами;

б) довести до сведения заведующих отделами народного образования и директоров восьмилетних и средних школ указания о порядке заполнения и выдачи документов о восьмилетнем и среднем образовании (приложение 4) и обеспечить точное их выполнение.

2. Разрешить Управлению школ из остатков бланков старого образца определенное количество оставить для выдачи дубликатов взамен утерянного, а остальное количество уничтожить, оформив уничтожение актом.

Министр
просвещения Грузинской ССР Т. Лашкарашвили

ეროვნული ბიბლიოთეკა

Образец свидетельства о восьмилетнем образовании

## СВИДЕТЕЛЬСТВО О ВОСЬМИЛЕТНЕМ ОБРАЗОВАНИИ

Настоящее свидетельство выдано

______________________________

(фамилия, имя и отчество)

родивше___ в 19___ году, в том, что он обучал___ в ______________ (полное

______________________________

наименование школы и место её

______________________________

нахождения)

окончил___ в 19___ году восемь классов и обнаружил___ п______ di

______________________________

поведении следующие знания:

по грузинскому языку ______________

по грузинской литературе ______________

по русскому языку ______________

по русской литературе ______________

по родному языку ______________

по родной литературе ______________

по алгебре ______________

по геометрии ______________

по истории и конституции СССР ______________

по географии ______________

по физике ______________

по химии ______________

по биологии ______________

по иностранному языку

(____________) ______________

по черчению ______________

по пению ______________

по рисованию ______________

по физической культуре ______________

по трудовому обучению ______________

______________________________

Директор школы

учителя

„_____" ______________ 19 года

№ 000000

М. П.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## Образец аттестата о среднем образовании.

## АТТЕСТАТ О СРЕДНЕМ ОБРАЗОВАНИИ.

Настоящий аттестат выдан ______

________________________________
(фамилия, имя и отчество)

родивш______ „_____" ____________

19 года в том, что он____в

19 году окончил ________ полный

курс ___________________________
(полное наименование школы

________________________________
и место её нахождения)

и обнаружил при отличном поведении следующие знания:

по грузинскому языку ____________

по грузинской литературе ________

по русскому языку _______________

по русской литературе ___________

по родному языку ________________

по родной литературе ____________

по алгебре _____________________

по геометрии ___________________

по тригонометрии ________________

по истории СССР ________________

по всеобщей истории _____________

по обществоведению ______________

по физике _______________________

по астрономии ___________________

по химии ________________________

по биологии _____________________

по географии ____________________

по иностранному языку

(____________)___________________

по черчению _____________________

по физической культуре __________

по основам производства _________

Кроме того ______________________
(фамилия, имя и

________________________________
отчество)

прош_____ производственное обучение по специальности ________

Директор школы

Зав. учебной. частью

Учителя;

Выдан „______" ____________ 19 г.

№ 000000

М. П.

Приложение 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Образец свидетельства о присвоении квалификации

## СВИДЕТЕЛЬСТВО О ПРИСВОЕНИИ КВАЛИФИКАЦИИ

Настоящее свидетельство выдано

______________________________

(фамилия, имя и отчество)

родивше ______ „ ______ “ __________

19 ____ года, в том, что он __________

обучал ______ в ______________________

(полное наименование и место её нахождения)

______________________________

и окончил ______ в 19 ____ году полный курс производственного обучения по профессии (специальности)

______________________________

______________________________

______________________________

Решением Квалификационной комиссии ______________________________

(наименование предприятия, строительства, совхоза, колхоза, транспортной и другой организации)

______________________________

______________________________

от „ ______ “ ____________ 19 ____ года

______________________________

(фамилия и инициалы)

присвоена профессия (специальность) ______________________

______________________________

и установлен ________ разряд.

Председатель Квалификационной комиссии

Директор школы

Выдано „ ______ “ ____________ 19 г.

М. П.

№ 000000

Приложение 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# УКАЗАНИЯ

## О ПОРЯДКЕ ЗАПОЛНЕНИЯ И ВЫДАЧИ ДОКУМЕНТОВ О ВОСЬМИЛЕТНЕМ И СРЕДНЕМ ОБРАЗОВАНИИ

1. Свидетельство о восьмилетнем образовании должно выдаваться каждому учащемуся, окончившему восьмилетнюю школу или восемь классов средней общеобразовательной школы, независимо от дальнейшего продолжения образования или поступления на работу.

Аттестаты о среднем образовании и свидетельство о восьмилетнем образовании выдаются выпускникам средних, восьмилетних общеобразовательных школ в соответствии с „Инструкцией о проведении выпускных экзаменов за курс восьмилетней и средней школы" и „Инструкцией о проведении экзаменов для экстернов".

2. Фамилия, имя и отчество ученика, окончившего восемь классов, указываются в Свидетельстве о восьмилетнем образовании полностью и только на основании метрического свидетельства или паспорта, также на основе этих документов проставляется в Свидетельство год рождения окончившего восемь классов (день и месяц рождения в Свидетельстве не указываются).

Фамилия, имя, отчество, а также место, число, месяц и год рождения окончившего среднее образование указываются в Аттестате о среднем образовании только на основании паспорта (имя, отчество, место и месяц рождения пишутся полностью).

3. В Свидетельстве о восьмилетнем образовании должны быть полностью указаны: тип школы, в которой учащийся окончил восемь классов (восьмилетняя, средняя, средняя общеобразовательная трудовая политехническая с производственным обучением, вечерняя (сменная), заочная), присвоенный школе номер и её местонахождение (село, рабочий поселок, город, район, область, АССР). Также полностью указывается в Аттестате о среднем образовании наименование и место нахождения школы, которую окончил учащийся.

4. Оценки по каждому учебному предмету в Свидетельстве о восьмилетнем образований и в Аттестате о среднем образовании проставляются цифровые и в скобках словесные, согласую-

щиеся со словом „знания“, например: „по арифметике 5 (отличные)“, „по литературе 4 (хорошие)“, „по химии 3 (удовлетворительные)“.

5. Свидетельство о восьмилетнем образовании подписывается директором школы и не менее чем тремя учителями, преподававшими в восьмом классе. Аттестат о среднем образовании подписывается директором школы, заведующим учебной частью и не менее чем тремя учителями, проводившими экзамены в выпускном классе.

Свидетельство о восьмилетнем образовании и Аттестат о среднем образовании заверяется гербовой печатью школы, выдавшей эти документы.

Заполнение Свидетельств о восьмилетнем образовании и Аттестатов о среднем образовании производится тушью; пропуск граф, подчистки и исправления в этих документах не допускаются. Школьная гербовая печать на Свидетельстве или Аттестаете должна быть ясной, легко читаемой и установленного образца.

При не соблюдении требований, перечисленных в пп 2–5 настоящих указаний, Свидетельство о восьмилетнем образовании и Аттестат о среднем образовании считаются недействительными.

6. В Аттестатах о среднем образовании, выданных средними школами с десятилетним сроком обучения, по тем учебным предметам, которые не изучались в школе, вместо оценки делается прочерк.

7. Учащимся, окончившим среднюю школу с производственным обучением, одновременно с Аттестатом о среднем образовании выдается Свидетельство о присвоении квалификации.

8. Выданные учащимся Свидетельства о восьмилетнем образовании и Аттестаты о среднем образовании должны регистрироватья в специальных журналах, которые школы получат до конца учебного года.

9. На Свидетельства о восьмилетнем образовании, Аттестаты о среднем образовании и Свидетельства о присвоении квалификации, испорченые при заполнении или по другим причинам, школой составляется соответствующий акт и для получения другого бланка районным (городским) отделом народного образования в Министерство просвещения представляется свидетельство или аттестат, подлежащий аннулированию, и соответствующий акт.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. ბრძანება № 47—ქ. ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და საწარმოო სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 46—სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონების საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 17
3. ბრძანება № 45—პიონერ-მოსწავლეთა შორის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . 23
4. დადგენილება რესპუბლიკის სკოლებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 29
5. მეთოდური მითითებანი წერითი მუშაობის სახეების რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში . . . 36
6. ბრძანება № 43—რვაწლიანი და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებზე გასაცემი დოკუმენტების ახალი ნიმუშების შემოღების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 53
7. Приказ № 43—О введении новых образцов документов, выдаваемых окончившим восьмилетние и средние общеобразовательные школы . 60

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე

კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/II-63 წელი. ანაწყო-
ბის ზომა 6X10. ქაღალდის ზომა 60X84. სასტამბო
ფორმათა რაოდენობა 3,75.

ფასი 10 კაპ.

შეკვ. 94. ტ. 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография Министерства просвещения Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19.